ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ანა ჯაფარიძე

სამთავრობო გავლენის ასახვა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში: აკადემიური მენეჯერიალიზმი

პოლიტიკის მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2023

ანოტაცია

ნაშრომი განიხილავს სამთავრობო გავლენის ასახვას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში. კვლევა ფოკუსირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტზე, აანალიზებს მათ წესდებებს, განხორციელების პრაქტიკებს და რესპონდენტთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ნაშრომის პირველი თავში განხილულია აკადემიური მენეჯერიალიზმის ფარგლებში განხორციელებული უმაღლესი განათლების გლობალური რეფორმა. ასევე, უნივერსიტეტის მართვის ტრადიციული და მენეჯერული მოდელების SWOT-ანალიზი. მეორე თავში გაანალიზებულია საქართველოს ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების საქმიანობის და წესდებების თავსებადობა. ნაშრომის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ქვეთავი (II.2.) აკადემიური სივრცის პრობლემების შესახებ. მესამე თავი ეთმობა საუნივერსიტეტო მმართველობაში სტუდენტური თანამონაწილეობის ფორმებს და უნივერსიტეტების რეაგირებას თითოეულ მათგანზე.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში „აკადემიური მენეჯერიალიზმის“ კვლევის აქტუალიზების მცდელობას, ვინაიდან, იგი მწვავე კრიტიკის საგანია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

კვლევის შედეგად მტკიცდება, რომ აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში წარმოქმნილი ჭარბი სამთავრობო გავლენა აფერხებს აკადემიური გარემოს განვითარებას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

Abstract

Reflecting Governmental Influence in Georgian State Universities: Academic Managerialism

Ana Japharidze

The paper examines the reflection of governmental influence in Georgian state universities under the conditions of academic managerialism. The study focuses on Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Ilia State University, analyzes their charters, implementation practices and information provided by respondents.

The first chapter of the paper discusses the global reform of higher education implemented within the framework of academic managerialism. Also, SWOT-analysis of traditional and managerial models of university management. The second chapter analyzes the compatibility of the activities and statutes of the governing bodies of the two state universities of Georgia. The central part of the paper is the subsection (II.2.) on the problems of the academic space. The third chapter is devoted to the forms of student participation in university governance and the response of universities to each of them.

The present paper represents an attempt to actualize the research of "academic managerialism" in Georgia, since it is the subject of severe criticism in the international scientific community.

As a result of the research, it is proved that the excessive governmental influence created in the conditions of academic managerialism hinders the development of the academic environment in the state universities of Georgia.

შინაარსი

შესავალი 6

I თავი - უნივერსიტეტის მმართველობა: გლობალური კონტექსტი 10

I.1. თეორიული ასპექტები 10

I.2. მმართველი ორგანოების რეფორმა უმაღლეს განათლებაში 13

I.3. უნივერსიტეტის მართვის მოდელები და მათი გავლენა აკადემიურ სივრცეზე 17

II თავი - უნივერსიტეტის მმართველობა: ქართული კონტექსტი 24

II.1. მმართველი ორგანოები სახელმწიფო უნივერსიტეტებში 24

II.2. აკადემიური სივრცის პრობლემები 32

III თავი - სტუდენტური თანამონაწილეობა საუნივერსიტეტო მმართველობაში 66

III.1. სტუდენტური თანამონაწილეობის ფორმები 66

III.2. უნივერსიტეტის რეაგირება სტუდენტურ თანამონაწილეობაზე 71

დასკვნა 74

გამოყენებული ლიტერატურა 76

დანართი 82

შესავალი

ნაშრომი მიზნად ისახავს, გააანალიზოს ჯანსაღი აკადემიური გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორები და მათი მდგომარეობა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში. კვლევის ცენტრალური საკითხია უნივერსიტეტის მართვის მენეჯერული მოდელი და მისი გავლენა აკადემიურ გარემოზე. ნაშრომში ასახულია სახელმწიფო უნივერსიტეტების მმართველი ორგანოების რეფორმის გლობალური და ქართული კონტექსტების ურთიერთმიმართება. ასევე, უნივერსიტეტის მართვის ტრადიციული მოდელიდან აკადემიურ მენეჯერიალიზმზე გადასვლის მიზეზები და შედეგები. წინამდებარე ნაშრომი იკვლევს აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში წარმოქმნილ აკადემიური სივრცის პრობლემებს. გლობალურ თუ ქართულ კონტექსტში, აღნიშნული საკითხების აქტუალიზებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სტუდენტური პროტესტი. საქართველოში ამის თვალსაჩინო მაგალითია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ისტორია, რომელიც 2011 წლიდან დღემდე გაჯერებულია სტუდენტური პროტესტით. სტუდენტური მოძრაობების მოთხოვნათა განმეორებადობა მიგვანიშნებს მათი მაპროვოცირებელი წყაროების უცვლელობაზე, რაც ჩვენთვის კვლევის საგანიც არის და პასუხიც.

ნაშრომის **მიზანია** საუნივერსიტეტო მმართველობის მოდელების შესწავლა; მიღებული შედეგების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში მმართველობის მოდელების შესწავლა და ამ პროცესში სამთავრობო გავლენების გამოკვეთა.

მთავრობებს სურთ, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა ფულის მიზნობრივი ხარჯვა. სწორედ ამიტომ, დაარსდა აკადემიური საბჭო, როგორც სამეთვალყურეო ორგანო გარე ჯგუფების ინტერესების დასაცავად უნივერსიტეტებში. ყოფილა შემთხვევებიც, როდესაც აკადემიური საბჭოს წევრები ცდილობენ, ზედმეტად შებოჭონ უნივერსიტეტი საკუთარი დადგენილებებით, რადგან თვლიან, რომ უკეთესად შეუძლიათ მისი მართვა. არსებობს პრაქტიკები, როდესაც მენეჯერულმა მოდელმა ვერ შეძლო საკუთარი მთავარი ღირსების, „ორმაგი ლეგიტიმაციის“, უზრუნველყოფა; აკადემიური საბჭოს მიერ მოხდა გარე ინტერეს ჯგუფების ჭარბი შემოტანა უნივერსიტეტში, რამაც დაჯაბნა შიდასაუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესები გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Ziegele & Kunkel, 2021).

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის **ამოცანებია**:

- სამეცნიერო ლიტერატურის და პრაქტიკების საფუძველზე, უნივერსიტეტის მართვის ტრადიციული და მენეჯერული მოდელების SWOT ანალიზის ჩატარება.
- სამთავრობო გავლენის გამოკვეთა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული მართვის მოდელის, აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში.

კვლევის **ობიექტია** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებები და მათი განხორციელების პრაქტიკები. ასევე, მმართველი ორგანოები სახელმწიფო უნივერსიტეტებში, აკადემიური სივრცის პრობლემები, სტუდენტური თანამონაწილეობის ფორმები საუნივერსიტეტო მმართველობაში. ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, კვლევის ობიექტს წარმოადგენს თემატურად შერჩეულ რესპონდენტთა ჯგუფი და მათი გამოცდილებები.

კვლევის **კითხვაა**, თუ როგორ აისახება სამთავრობო გავლენა აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

კვლევის **ჰიპოთეზის** თანახმად, აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში წარმოქმნილი ჭარბი სამთავრობო გავლენა სახელმწიფო უნივერსიტეტებზე აფერხებს აკადემიური გარემოს განვითარებას.

ჭარბი სამთავრობო გავლენა გამოიხატება სახელმწიფო უნივერსიტეტებში გატარებული პოლიტიკით, რომელიც სცდება კანონით დადგენილ ნორმებს ან ფორმალურად კანონიერების საზღვრებშია, თუმცა სპეკულაციური.

აკადემიური მენეჯერიალიზმის მდგომარეობა სახელმწიფო უნივერსიტეტებში წარმოადგენს მთავრობის მიერ საგანმანათლებლო და კვლევითი დისკურსის შექმნის, გავრცელების და კონტროლის ძლიერ მექანიზმს.

აკადემიური გარემოს განვითარება გულისხმობს აკადემიური თავისუფლების, ინტელექტუალური მრავალფეროვნების, ტოლერანტობის, პროფესიონალიზმის, კოლეგიალურობის, ანგარიშვალდებულების პრინციპების არსებობას და დაცვას. აკადემიური გარემო, ასევე, უნდა უზრუნველყოფდეს მხარდამჭერ გარემოს სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის და პერსონალისთვის, რაც ნიშნავს მეტ რესურსს განათლებასა და მეცნიერებაში.

ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოს** ძალაუფლების, ცოდნისა და დისკურსის შესახებ მიშელ ფუკოს პოსტსტრუქტურალისტური პერსპექტივა წარმოადგენს (Richardson, 1996, გვ. 280). ნაშრომში გამოყენებულია მნიშვნელოვანი თეორიული ასპექტები მიშელ ფუკოს „ცოდნის არქეოლოგიიდან“ (1970). ის ამტკიცებს, რომ ცოდნა იქმნება დისკურსის გზით. წინამდებარე ნაშრომში აკადემიური მენეჯერიალიზმი განხილულია, როგორც მთავრობის ბერკეტი, შექმნას საგანმანათლებლო, კვლევითი და სამეცნიერო დისკურსი. სამთავრობო გავლენის წყაროს - ეკონომიკური ელიტების - სტრუქტურული და ინსტრუმენტული ძალაუფლება კი განხილულია “ძალაუფლების რესურსების თეორიის” (Korpi, 1985) და ლინდბლომის (1982) “ბაზარი, როგორც ციხე” მიდგომის თანახმად.

კვლევაში გამოყენებულია **თვისებრივი მეთოდი**, კერძოდ, საქართველოს ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებების, მათ ნიადაგზე განხორციელებული მსგავსი და/ან განსხვავებული პრაქტიკების შედარებითი ანალიზი; სახელმწიფო უნივერსიტეტებში მმართველობით რეფორმებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის თვისებრივი ანალიზი; რესპონდენტებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები (5 რესპონდენტი). კვლევის რესპონდენტთა ჯგუფი მოიცავს მკვლევრებს, აქტივისტებს, კომპეტენტურად დაინტერესებულ პირებს, სახელმწიფო უნივერსიტეტების მმართველი ორგანოების წარმომადგენლებს.

კვლევაში შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურისა და რესპონდენტებისთვის გამოყენებულია მიზნობრივი არაალბათური **შერჩევა**, რესპონდენტების ნაწილთან - ექსპერტული შერჩევა.

კვლევის **ლიმიტი** ითვალისწინებს, რომ საკვლევი საკითხების შესწავლა მოხდა საქართველოს ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში. კვლევა ცდილობს, გამოკვეთოს რექტორის არჩევის წესის ცვლილების საჭიროება, რაც არ ნიშნავს, რომ პირდაპირი არჩევნები აკადემიური გარემოს გაჯანსაღებისთვის გადამწყვეტი პირობაა. ასევე, კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა რაოდენობა შეზღუდულია, თუმცა, საკვლევი საკითხების შესახებ მათი კომპეტენცია კომპლექსური და კომბინირებულია. ასევე, საკვლევი საკითხის „status quo”-სადმი კრიტიკულმა მიდგომამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა რესპონდენტთა შეზღუდული რაოდენობა.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან: პირველ თავში უმღლესი განათლების რეფორმის, უნივერსიტეტის მართვის მოდელების და აკადემიურ სივრცეზე მათი გავლენის შესწავლა იწყება გლობალურ კონტექსტში. მეორე თავში წარმოდგენილია ამ საკითხების ქართული კონტექსტი,

რომელსაც ახლავს ლოკალურ დონეზე წარმოქმნილი პროცესების ანალიზი. მესამე თავი ეთმობა სტუდენტური თანამონაწილეობის ფორმებს საუნივერსიტეტო მმართველობაში. განხილულია, სტუდენტური თანამონაწილეობის ფორმალური და არაფორმალური სახეები: სტუდენტური თვითმმართველობა და სტუდენტური მოძრაობები. ნაშრომის დასასრულს, განხილულია, თუ როგორია უნივერსიტეტის რეაგირება სტუდენტური თანამონაწილეობის თითოეულ ფორმაზე.

I თავი - უნივერსიტეტის მმართველობა: გლობალური კონტექსტი

I.1. თეორიული ასპექტები

სამეცნიერო საზოგადოებაში აკადემიური მენეჯერიალიზმის ცნების შექმნას და ჩამოყალიბებას წინ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი უძღვოდა. მეცნიერები ათწლეულების განმავლობაში იკვლევდნენ პროცესებს და მათ შედეგებს, რომელთა ერთობლიობას დღეს აკადემიურ მენეჯერიალიზმს ვუწოდებთ. მნიშვნელოვანია, საკითხის შესწავლა დავიწყოთ იმ განსხვავებული საფუძვლებიდან, რომლებიც საუნივერსიტეტო მმართველობის მენეჯერულ მოდელს წინ უძღვოდა დასავლეთ ევროპასა და პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში. ვინაიდან, არა მხოლოდ მენეჯერიალიზმი ახდენს გავლენას დღევანდელ აკადემიურ პოლიტიკაზე, არამედ ნიადაგი განაპირობებს მენეჯერიალიზმის ინსტრუმენტალიზაციას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკული აზრის ტალღა აკადემიურ მენეჯერიალიზმთან დაკავშირებით სწორედ ლიბერალური დემოკრატიებიდან იწყება და ახასიათებს დინამიკა აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად, შეინიშნება ტენდენცია, რომ აკადემიური მენეჯერიალიზმის და მისი შედეგების შესახებ გაერთიანებულ სამეფოში, კონტინენტურ ევროპასა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებში, სადაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში განხორციელდა უმაღლესი განათლების რეფორმა, აკადემიური აზრი, თითქმის, სრულად კრიტიკულია. რაც შეეხება, უნივერსიტეტის მენეჯერული მმართველობის მომხრეთა პოზიციებს, ისინი, ძირითადად, გვხვდება რუსული წარმომავლობის აკადემიურ წყაროებში.

ნეოლიბერალური იდეოლოგიის პასუხი საუნივერსიტეტო კრიზისზე ეყრდნობა „ბაზრის“, „პერფორმატიულობის“ და „მენეჯერიალიზმის“ კომბინაციას (Amaral, Meek & Larsen, 2003). საუნივერსიტეტო კრიზისი მოიცავს საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის კრიზისს (Habermas, 1973), ჰეგემონიას (Gramsci, 1971) ცოდნის წარმოების თვალსაზრისით და ინსტიტუციონალურ კრიზისს (Santos, 2009). ნეოლიბერალური იდეოლოგიის გავლენა უმაღლესი სასწავლებლების ქცევაზე შერწყმული კერძო მენეჯმენტის ეფექტურობის მიამიტურ მითთან იწვევს მენეჯერიალიზმის, როგორც უალტერნატივო და უნივერსალური სტრატეგიული ნარატივის დამკვიდრებას (Reed, 2002; Amaral, Meek & Larsen, 2003).

მიშელ ფუკოს პოსტსტრუქტურალისტური პერსპექტივა ძალაუფლების, ცოდნისა და დისკურსის შესახებ (Richardson, 1996, გვ. 280) იკვლევს ძალაუფლებას, როგორც ცნებას, რომლიც წარმოშობს ცოდნას ადამიანების და მთლიანად საზოგადოებრივი მექანიზმის შესახებ (Walshaw, 2007, გვ. 69-70); Sameer, 2019). ფუკოს პერსპექტივის კრიტიკული ასპექტი არის არა ობიექტური ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა, არამედ გზების იდენტიფიცირება, „რომელთა საშუალებით, ძალაუფლება ითვისებს ცოდნას და აქცევს მას დისკურსებში“ (Richardson, 1996, გვ. 280; Sameer, 2019). საზოგადოებაში განათლების სისტემას სახელმწიფო აკონტროლებს, მაგრამ ძალაუფლებრივი ურთიერთობების შესანარჩუნებლად ის მთელი საზოგადოების მასშტაბით მუშაობს (Pitsoe et. Al., 2013, გვ. 25; Sameer, 2019). ანალოგიურად, ფუკო ამტკიცებს, რომ „ყოველი საგანმანათლებლო სისტემა არის დისკურსების შესაბამისობის შენარჩუნების ან მოდიფიცირების საშუალება იმ ცოდნითა და ძალით, რომელიც მას თან მოაქვს“ (Faucault, 1971, გვ. 19; Sameer, 2019). ბასილ ბერნშტეინი ამტკიცებს, „ის, თუ როგორ ირჩევს, ახარისხებს, ავრცელებს, გადასცემს და აფასებს ცოდნას საზოგადოება, ასახავს ძალაუფლების განაწილების და სოციალური კონტროლის პრინციპებს“ (Bernstein, 1971, გვ. 47; Sameer, 2019).

წინამდებარე ნაშრომში აკადემიური მენეჯერიალიზმი განხილულია, როგორც მთავრობის ბერკეტი, შექმნას საგანმანათლებლო, კვლევითი და სამეცნიერო დისკურსი. სამთავრობო გავლენის წყაროს - ეკონომიკური ელიტების - სტრუქტურული და ინსტრუმენტული ძალაუფლება კი განხილულია “ძალაუფლების რესურსების თეორიის” (Korpi, 1985) და ჩარლზ ლინდბლომის (1982) “ბაზარი, როგორც ციხე” მიდგომის თანახმად.

სტრუქტურული ძალა (Strange, 1987), რომელსაც ხშირად საინვესტიციო ძალას უწოდებენ, ასახავს საინვესტიციო არჩევანის მთლიან ეკონომიკურ ეფექტს, როგორც რეაგირებას პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე (Parmigiani, 2022, გვ. 4). ამ თვალსაზრისით, ლინდბლომის ცნობილი მიდგომა, „ბაზარი, როგორც ციხე“ (1982), ამტკიცებს, რომ კაპიტალის მფლობელები აუცილებელ ელემენტს წარმოადგენენ თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის. ეს ავტომატურად უზრუნველყოფს მათ ძლიერ სპეკულაციურ პოზიციებს საკანონმდებლო პროცესში. ნებისმიერი პოლიტიკის გადაწყვეტილება, რომელიც აზიანებს კორპორაციულ ინტერესებს, ავტომატურად ააქტიურებს ბიზნესის „უკუცემის მექანიზმს“ („recoil mechanism”) (Lindblom, 1982, გვ. 330), რაც იწვევს პოლიტიკის არაეფექტურობას. ეს ხშირად გულისხმობს დეინვესტიციას ან გასვლის საფრთხეს, როგორც ირიბ მექანიზმს და სტრუქტურულ ძალას აქცევს „სასიგნალო მოწყობილობად“,

რომელიც ქმნის მოლოდინებს, ხშირად, პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმულირების ფაზაში (Hacker et. Al., 2002; Parmigiani, 2022, გვ. 4). კაპიტალის გაქცევა, სპეკულაციური საქმიანობა და ინვესტიციებისგან თავის შეკავება წარმოადგენს სტრუქტურული ძალაუფლების თანამედროვე მაგალითებს (Moudud, Caldentey & Delamonica, 2014).

ინსტრუმენტული ძალა არის ის, რაც ჩვეულებრივ დამკვირვებელს შეიძლება ესმოდეს, როგორც პოლიტიკური ძალა. ეკონომიკურ ელიტებს აქვთ ინსტრუმენტული ძალაუფლება. ეს გამოიხატება როგორც პოლიტიკურ ქმედებებში პირდაპირი მონაწილეობით, ასევე, ირიბად, როდესაც ეკონომიკური ელიტის პრეფერენციები ავტომატურად მხედველობაში მიიღება პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც ან ელიტის რეაქციებს განჭვრეტენ ან მათ მიზნებს იზიარებენ. პოლიტიკოსებს შეუძლიათ ეკონომიკური ელიტების ინტერესებისთვის ხელშეწყობა, რადგან მათ სურთ ფინანსური მხარდაჭერა ან/და მიისწრაფვიან ამ ჯგუფის წევრობისკენ (Parmigiani, 2022, p. 4).

ფრენსის ფუკუიამა ავითარებს მტკიცებას, რომ საჭიროა, მკვლევრის მიერ ადგილობრივი ფაქტორებით განპირობებული უნიკალური პოლიტიკური წყობის და სოციალური ურთიერთობების გათვალისწინება (Fukuyama, 2011). ალი სამერი (2019) ნაშრომში "ფუკო და განათლება: ძალაუფლება-ცოდნის დისკურსი პაკისტანში და მისი გავლენა განათლების იდეაზე" ანალოგიური მიდგომით ცდილობს, შეისწავლოს პაკისტანის შემთხვევა და მისი ადგილობრივი მახასიათებლები. სამთავრობო გავლენის კვლევის პროცესში საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში, აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში, გამოვლინდა სპეციფიური მახასიათებელი: აკადემიური მენეჯერიალიზმი, როგორც გლობალური ნეოლიბერალური მოდელის ნაწილი, მმართველი ჯგუფების ინტერესების ანარეკლია და არა თანმიმდევრული დოქტრინა.

I.2. მმართველი ორგანოების რეფორმა უმაღლეს განათლებაში

1980-იან წლებში და 1990-იანი წლების დასაწყისში არსებობდა ფართოდ გავრცელებული ვარაუდი საჯარო სექტორის რეფორმებთან დაკავშირებით, რომელიც აისახა აკადემიურ სფეროშიც. ვარაუდის თანახმად, რეფორმებმა გლობალურად შეიძლება გამოიწვიოს უნივერსიტეტების მმართველი სტრუქტურების დაახლოება (იხ. მაგ. Goedegebuure, 1994). უფრო ზოგადი თვალსაზრისით, ეს არის მსოფლიო პოლიტიკის მიდგომა (Meyer, Thomas & Ramirez, 1997), რომელიც ამტკიცებს, რომ გლობალური ნორმები გავლენას მოახდენს სახელმწიფოებსა და ინსტიტუტებზე, რაც იწვევს კულტურებისა და ორგანიზაციების ჰომოგენიზაციას. ეს მოიცავს ეროვნული განათლების რეფორმას, რომელზეც გავლენას ახდენს ე.წ. "გლობალური ხელწერა". თუმცა, კონვერგენციისა და გლობალური ნორმების ჰომოგენიზირებული ეფექტები ეჭვქვეშ დადგა, რადგან არსებობს აშკარა მინიშნებები, რომ საუნივერსიტეტო რეფორმებმა წინააღმდეგობები უფრო წარმოშვა, ვიდრე თანხმობა (Christensen, Gornitzka & Maassen, 2014).

ახალი მმართველი ორგანოები, რომლებიც დაინერგა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში (ამსტერდამის, კოპენჰაგენის, ოსლოს, ვენის და ციურიხის) საკამათო იყო. ამსტერდამის უნივერსიტეტში სტუდენტებმა და თანამშრომლებმა 2015 წელს გააპროტესტეს ეკონომიკურად განპირობებული პოლიტიკა საუნივერსიტეტო მართვის პრაქტიკაში. მათი მოთხოვნები მოიცავდა დემოკრატიის გაძლიერებას უნივერსიტეტის მართვაში, უნივერსიტეტის ფინანსების მეტ გამჭვირვალობას, საუნივერსიტეტო ქონების და ფინანების სარისკო სპეკულაციების შეწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ ამსტერდამის საპროტესტო აქციები უნიკალური იყო ბევრი თვალსაზრისით, სხვა ევროპულ უნივერსიტეტებშიც შეიმჩნეოდა შეშფოთება და სკეპტიციზმი ახალი მმართველი ორგანოების ბუნებისა და გავლენის მიმართ (Gornitzka, Maassen & De Boer, 2017).

შესაბამისი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია იმ ბერკეტების იდენტიფიცირება, რომლის საშუალებით, აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში, ხდება სამთავრობო ძალაუფლების ლოკუსის გადატანა მინისტრთა კაბინეტიდან

უშუალოდ უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის კაბინეტებში. ხდება ძალაუფლების მოჩვენებითი რეპატრიაცია, რის შედეგადაც სისტემურმა კონტროლმა ბინა დაიდო უშუალოდ საუნივერსიტეტო სივრცეში, უფრო ახლოს აკადემიკოსებთან (Amaral, Meek & Larsen, 2003). აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია ინსტიტუციური ავტონომიის პირობებშიც, თუკი უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების დანიშნულება სისტემური წესრიგის შენარჩუნებაა. პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების ინტერესების მუდმივი გამტარი არის მთავრობა. შესაბამისად, პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების ინტერესების ასახვა აკადემიურ სფეროში ხდება სამთავრობო გალვენის გზით.

ბისშოფი (2018) ამტკიცებს, რომ ახალი „გლობალური მოდელის“ და დისკურსის დომინირებას უმაღლესი განათლების მსოფლიო პოლიტიკაში ხელი შეუწყვეს ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორიცაა OECD, UNESCO და მსოფლიო ბანკი (Baker & Lenhardt, 2008). იმავე ორგანიზაციებმა წაახალისეს „პოსტ-სოციალისტური რეფორმის პაკეტის“ განხორციელება (Silova & Steiner-Khamsi, 2008). ისინი გახდნენ ოფიციალური პოლიტიკის დისკურსის ნაწილი რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში, თუ მაინცდამაინც პრაქტიკაში არა, პრივატიზაციის, დაფინანსების მარკეტიზაციის, დაინტერესებული მხარეების მმართველობისა და სტუდენტების შეფასების სტანდარტიზაციის კუთხით მაინც (Silova, 2005; Bischof, 2018, გვ. 101).

ჰანს დე ვიტის (2018) თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვხედავთ მზარდ აკადემიურ მობილობას მთელს მსოფლიოში, მას ახასიათებს გარკვეული გამოწვევები ბაზრის ლიდერთა - გაერთიანებულ სამეფოსა და შეერთებულ შტატებს - შორის. ეს არის მილიარდიანი ინდუსტრია, რომელიც მოიცავს სტუდენტურ ელიტას და, თითქმის, გამორიცხავს მსოფლიოს სტუდენტური მოსახლეობის 90%-ს (De Wit, 2018, გვ. 40).

მსგავსად, სალმიც (2018) თვლის, რომ მიუხედავად სტუდენტთა რაოდენობის ზრდისა, უმაღლესი განათლება ინარჩუნებს ელიტარულ ხასიათს და საუკეთესო სასწავლებლებში

ჩარიცხულ სტუდენტთა დიდი წილი საზოგადოების მდიდარი სეგმენტებიდან მოდის (Marginson, 2016; Salmi, 2018, გვ. 161).

სოციალური განზომილება კონკრეტულად არ იყო ნახსენები 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციაში, მაგრამ აშკარად იყო ხაზგასმული 2001 წლის პრაღის კომუნიკეში, როგორც მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც იმსახურებს მეტ ყურადღებას (Salmi, 2018, გვ. 161). 2007 წლის ლონდონის კომუნიკე სოციალურ განზომილებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: "უმაღლესმა განათლებამ უნდა ითამაშოს ძლიერი როლი სოციალური ერთიანობის ხელშეწყობაში, უთანასწორობის შემცირებაში და საზოგადოებაში ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების დონის ამაღლებაში" (London communiqué, 2007).

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში უმაღლესი განათლების სოციალური ასპექტის შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ სტუდენტთა პერსონალურ მონაცემებზე წვდომის შეზღუდვას (მაგ., საფრანგეთში), რაც ართულებს მათი საჭიროებების ანალიზს და მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავებას (Salmi, 2018). უნდა აღინიშნოს, რომ კონფიდენციალურობა მკაცრად არის დაცული გერმანიასა და სკანდინავიურ ქვეყნებშიც, რაც ხელს არ უშლის უმაღლესი განათლების სოციალური ასპექტის განხორციელებას.

დე ვიტი და ჯონსი (2017) საუბრობენ ინტერნაციონალიზაციის, როგორც თანამშრომლობის მცდელობასა და ინტერნაციონალიზაციის, როგორც კონკურენტული მიდგომის პარადოქსის შესახებ. მათი თქმით, ეს პარადოქსი ბოლონიის პროცესისთვის შემაშფოთებელი უნდა იყოს და შემდეგ ეტაპზე მასზე ადეკვატური რეაგირებაა საჭირო (De Wit & Jones, 2017; De Wit, 2018, გვ. 41).

რეფორმას, რომლის მიზანი ევროპაში უმაღლესი განათლების სისტემებისა და სტრუქტურების ჰარმონიზაცია და ევროპული თანამშრომლობისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაძლიერება იყო, ევანსი აღიქვამს, როგორც ნეოლიბერალურ პროცესს (De Wit, 2018, გვ. 42).

დე ვიტი (2018), ასევე, აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაციის დისკურსში ხშირად დომინირებს დაინტერესებულ მხარეთა მცირე ჯგუფი: უმაღლესი განათლების ლიდერები,

მთავრობები და საერთაშორისო ორგანოები. სხვა დაინტერესებული მხარეების ხმა, როგორიცაა, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, გაცილებით ნაკლებად ისმის, რის შედეგადაც, დისკურსზე არასაკმარისია მათი გავლენა, ვინც ყველაზე მეტად უნდა ისარგებლოს მისი განხორციელებით (De Wit, 2018, გვ. 44).

დენისოვა-შმიდტი ამტკიცებს, რომ ბოლონიის პროცესის ხელმომწერ ქვეყნებში გავრცელებულია კორუფცია, აკადემიური კეთილსინდისიერების ნაკლებობა და სხვა ეთიკური პრობლემები (De Wit, 2018, გვ. 45).

მოლდოვის მთავრობამ საბჭოთა რეგულაციები სწრაფად გააუქმა, მათი ჩანაცვლების თანმიმდევრული სტრატეგიის გარეშე. პადურე (2009) იმდროინდელ პოლიტიკოსს ციტირებს: „ ...დამოუკიდებლობის პირველი წლები განათლებაში სამართლიანი ნიჰილიზმის პერიოდი იყო, როდესაც მოლდოვის რესპუბლიკაში საბჭოთა რეგულაციები ძალადაკარგულად გამოცხადდა, ხოლო ადგილობრივი რეგულაციები არ არსებობდა.“ (Tofan & Bischof, 2017; Bischof, 2018, გვ. 105).

ბისშოფის (2018) მიერ შესწავლილი სამი ქვეყნიდან განსხვავებულია ყაზახეთის შემთხვევა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან და მოლდოვასთან შედარებით, გვიან შეუერთდა ბოლონიის პროცესს, გახდა მისი ღირსეული წევრი. ყაზახეთმა შემოიღო დამოუკიდებელი აკრედიტაცია და, პარალელურად, დაუშვა საერთაშორისო QAA-ების ფუნქციონირება. არსებობს სამი გამორჩეული ეროვნული ფაქტორი, რომლებიც საფუძვლად უდევს უმაღლესი განათლების გლობალური პოლიტიკის დამკვიდრებას ყაზახეთში: პირველი, ყაზახეთს არ ჰყავდა ძლიერი, ფესვგადგმული ლობისტთა ჯგუფი, რომელიც უარყოფდა წარსული იდეალებისგან განსხვავებულ უმაღლესი განათლების რეფორმას. მეორე, განათლების სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის რამდენიმე წამყვანი ექსპერტი ლობირებდა აკრედიტაციის რეფორმას და მოახერხეს მისი ჩართვა საპრეზიდენტო განვითარების პროგრამებში. და ბოლოს, რაც მთავარია, პრეზიდენტი მოქმედებდა, როგორც რეფორმის მთავარი მხარდამჭერი უმაღლესი განათლების სფეროში. პრეზიდენტის მხარდაჭერა განათლების სტრატეგიისადმი იყო საკვანძო ფაქტორი

მინისტრთა ბიუროკრატიული წინააღმდეგობისა და სკეპტიციზმის დასაძლევად (Silova, 2011b; Bischof, 2018, გვ. 113).

ფიტი და გოლოგანი (2018) თვლიან, რომ, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტები წარმოადგენენ სასარგებლო უკუკავშირის მიმწოდებელ აკადემიური კატეგორიას, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებით (ESIB, 2001; Fit & Gologan, 2018, გვ. 143).

მატეი და ივინსკა (2018) საუბრობენ ინსტიტუციური ავტონომიის და აკადემიური თავისუფლების განვითარების განსხვავებული ტემპების შესახებ. ინსტიტუციური ავტონომია შედარებით სწრაფად ვითარდება, რასაც ვერ ვიტყვით აკადემიური თავისუფლების შესახებ ევროპაში, რომელიც რეგრესირებს, როგორც კონცეპტუალურ დონეზე, ასევე პრაქტიკაში. ისინი აღნიშნავენ, რომ ავტონომიის განვითარების განსაზღვრა, გაზომვა და შეფასება ხდება ეფექტურობასთან და არა ინტელექტუალურ, მორალურ და იურიდიულ პრინციპებთან მიმართებაში. ამას უწოდებენ EHEA-ში ავტონომიის განვითარების ინსტრუმენტულ გზას (Matei & Iwinska, 2018, გვ. 360).

დაბოლოს, დენისოვა-შმიდტი (2018) აზუსტებს, რომ ზოგიერთი შეიძლება თვლიდეს, ეს მტკიცებები მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებზე ვრცელდება, მაგრამ ისინი, ფაქტობრივად, ეხება როგორც საჯარო, ისე კერძო უნივერსიტეტებს, რადგან, რასაც ისინი აწარმოებენ - განათლება - არის საზოგადოებრივი სიკეთე (Denisova-Schmidt, 2018, გვ. 86).

I.3. უნივერსიტეტის მართვის მოდელები და მათი გავლენა აკადემიურ სივრცეზე

იდეა, რომ აკადემიკოსები განსაკუთრებით ნიჭიერები არიან საკუთარი საქმეების მართვაში, მიღებული იყო საუკუნეების განმავლობაში (Clark, 1983a). ამარალი, ფულტონი და ლარსენი (2003) საუბრობენ უნივერსიტეტის მართვის მოდელებზე, ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებაზე. როგორც ავტორები გვეუბნებიან, ზოგიერთი აკადემიკოსი სკეპტიკურად არის განწყობილი თანამედროვე საუნივერსიტეტო მმართველობისადმი, რადგან ისინი თვლიან, რომ საფრთხე ექმნება მათ აკადემიურ თავისუფლებას. იმ ქვეყნებშიც, სადაც

უნივერსიტეტებს მიენიჭათ გაზრდილი ავტონომია, რეალურად, მოხდა ძალაუფლების მოჩვენებითი რეპატრიაცია, რის შედეგადაც, სისტემურმა კონტროლმა ბინა დაიდო უშუალოდ საუნივერსიტეტო სივრცეში, უფრო ახლოს აკადემიკოსებთან. მათგან ბევრი თვლის, რომ მათი აკადემიური თავისუფლება და საქმიანობა მზარდ თავდასხმას განიცდის. ინსტიტუციური ავტონომია აკადემიური თავისუფლებისგან განსხვავებული კონცეპტია (Amaral, Fulton & Larsen, 2003). შესაბამისად, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია ინსტიტუციური ავტონომიის პირობებშიც, თუკი უნივერსიტეტის მართვის თვითმიზანი სისტემური წესრიგის შენარჩუნებაა. კენეტ უილსონი საუბრობს უნივერსიტეტის ობიექტური ფუნქციის შესახებ:

> უნივერსიტეტი არის მეცნიერთა და სტუდენტთა საზოგადოება, რომელიც ჩართულია ჭეშმარიტების ძიების ამოცანაში. მისი ავტონომიის იდეური საფუძველი აკადემიური თავისუფლებაა - პრივილეგია, რომელსაც მას სახელმწიფო და საზოგადოება ანიჭებს, რაც გულისხმობს ჭეშმარიტების სწავლების ვალდებულებას, ყოველგვარი შინაგანი და გარეგანი ზემოქმედებისგან დამოუკიდებლად (Wilson, 1989, გვ. 38).

ბარტონ რ. კლარკი კი, განმარტავს უნივერსიტეტების სამეწარმეო ხასიათს:

> უნივერსიტეტებში სამეწარმეო ხასიათი არ უნდა ახშობდეს კოლეგიალურ სულს, არ უნდა აქცევდეს უნივერსიტეტებს ინდუსტრიის ხელშემწყობად. ის არ უნდა ახდენდეს უნივერსიტეტების კომერციალიზაციას და არ უნდა აქცევდეს მათ სავაჭრო დანიშნულების ცენტრებად (Clark, 2001, გვ. 118).

მუდი და იუსტასი, დაახლოებით, ნახევარი საუკუნის წინ, იცავდნენ აკადემიკოსთა უპირატესობას უნივერსიტეტის მენეჯმენტში, მათი ძალიან სპეციფიკური პროფესიული კვალიფიკაციის საფუძველზე:

> უზენაესი ავტორიტეტი, იმ პირობით, რომ იგი იქნება პროაქტიული, უნდა დარჩეს აკადემიკოსების ხელში, რადგან სხვა არავინ არის საკმარისად კვალიფიციური

> მეცნიერთა საზოგადოებრივი საქმეების მართვისთვის (Moodie & Eustace, 1974, გვ. 233).

შეგვიძლია, გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი წესდების დებულება, რომელსაც ემყარებოდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუცია:

> ქართული უნივერსიტეტი ტფილისში უმაღლესი სამეცნიერო-სამოსწავლო ავტონომიური დაწესებულებაა: სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროშიაც და საუნივერსიტეტო მართვაგამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ იგი სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ საქმეებს თვითვე განაგებს.

ნეოლიბერალური იდეოლოგიის მქონე მთავრობებმა, უმაღლესი განათლების გლობალურ პოლიტიკასთან შესაბამისად, აირჩიეს ახალი საჯარო მენეჯმენტი, როგორც აკადემიური კოლეგიალურობის ნელი პრაქტიკის და არაეფექტური გადაწყვეტილების მიღების პროცესის ალტერნატივა (Ball, 1998, გვ. 124). ამ მოდელს აკადემიური მენეჯერიალიზმი ეწოდება. ამგვარი მოდელი ძნელად თავსებადია ინსტიტუციური მმართველობის სისტემასთან, რომელიც არ იძლეოდა ზემოდან ქვემოთ გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. მისი წინამორბედი მართვის მოდელის პირობებში, ინსტიტუციური პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულების გაზიარება ხდებოდა კოლეგიალურად, რაც ართულებდა დაწესებულების ბედზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მკაფიო განსაზღვრას. ამიტომ, მთავრობებმა გაატარეს რეფორმები, რომლის შედეგად, ძალაუფლება ცენტრალიზებულია, გაზრდილია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დაწესებულების ცალკეული ლიდერისთვის (რექტორი, კანცლერი ან პრეზიდენტი) და ზრდის გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას (პირდაპირ და ირიბ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ლაიტე თავის ნაშრომში მოიხსენიებს 1990-იანი წლების რეფორმებს ლათინურ ამერიკაში, სადაც საერთაშორისო სააგენტოების პოლიტიკური დღის წესრიგის ზეწოლის ქვეშ, როგორიცაა IMF და მსოფლიო ბანკი, სხვადასხვა ქვეყნები იძულებულნი გახდნენ, მიეღოთ მსგავსი მენეჯერული პრაქტიკა.

მარჩი და ოლსენი თვლიან, რომ მართვის მოდელი ექვემდებარება ეროვნულ ფილტრს, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებთან ადაპტაციას და პოლიტიკური დიზაინის ფორმირებას (March & Olsen, 1989; March & Olsen, 1995; Amaral, Fulton & Larsen, 2003).

გერმანიის უნივერსიტეტებში რექტორის როლი ფუნდამენტურად შეიცვალა ბოლო 25 წლის განმავლობაში. თუკი რექტორი წარმოადგენდა აკადემიურ ფიგურას, ახლა ის არის ლიდერი, რომელსაც აქვს გამოწვევების მართვის მრავალმხრივი უნარები. მას შეუძლია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და განხორციელება, რესურსების მართვა, წამყვანი პერსონალის ოპტიმიზაცია და ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა (Ziegele & Kunkel, 2021).

რექტორის როლის ფუნდამენტურ ცვლილებასთან ერთად, შეიცვალა რექტორის არჩევის პროცედურებიც. ამ ცვლილებებამდე, პროფესორები ირჩევდნენ რექტორს პროფესორთაგან. ამრიგად, მისი კვალიფიკაცია ემყარებოდა, პირველ რიგში, სამეცნიერო მიღწევებს. მას ირჩევდნენ მცირე ვადით (ერთი ან ორი სემესტრი), რის პარალელურადაც, ის აგრძელებდა აკადემიურ საქმიანობას. ეს შეესაბამებოდა რექტორის ტრადიციულ როლს, თუმცა, არ პასუხობდა ინსტიტუციური ლიდერის სტრატეგიული მმართველობის საჭიროებებს. ამ მიზეზით, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მოხდა კენჭისყრის პროცედურების მოდერნიზება. გერმანიაში არ არსებობს სტანდარტიზებული საარჩევნო წესი. უნივერსიტეტთან დაკავშირებული კანონმდებლობა გერმანიაში არის არა ფედერალური მთავრობის, არამედ 16 ფედერალური ერთეულის პრეროგატივა (Ziegele & Kunkel, 2021).

რექტორის არჩევის წესი გერმანიაში

გერმანიის ფედერალურ ერთეულთა უდიდეს ნაწილში საარჩევნო პროცესები იწყება საარჩევნო კომიტეტის შექმნით, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ორი მმართველი ორგანოს წარმომადგენლებისგან: სენატი და აკადემიური საბჭო. სენატი შედგება

უნივერსიტეტის ინტერეს-ჯგუფების წარმომადგენლებისგან. ეს პირები ასრულებენ საკანონმდებლო ამოცანებს და, ასევე, პასუხისმგებელნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებასა და შეწყვეტაზე. აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შედარებით ახალი ელემენტია და, როგორც წესი, დაკომპლექტებულია უნივერსიტეტს გარეთ არსებული დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისგან. აკადემიური საბჭოს მთავარი ამოცანაა სტრატეგიული რჩევების შემუშავება (Ziegele & Kunkel, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტები თავად განსაზღვრავენ საარჩევნო კომიტეტის შემადგენლობას, სასურველი მიზანია, ჰყავდეთ წევრთა ექვივალენტური რაოდენობა შესაბამისი მმართველი ორგანოებიდან (სენატი და აკადემიური საბჭო), რომელიც, ძირითადად, შედგება ხუთიდან ათამდე ინდივიდისგან. ეს კომიტეტი განიხილავს განაცხადის დოკუმენტებს და შემდეგ ადგენს თანამდებობისთვის შესაბამის კანდიდატთა მოკლე სიას (მაგ., სამი პიროვნება) (Ziegele & Kunkel, 2021).

ეს კანდიდატები, შემდეგ, გადადიან საარჩევნო ეტაპზე, სადაც სენატისა და უნივერსიტეტის საბჭოს ყველა წევრი მონაწილეობს კენჭისყრაში. მაგალითად, ბადენ-ვიურტემბერგში და ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში, სენატისა და უნივერსიტეტის საბჭოები ატარებენ ერთობლივ სხდომას რექტორის ასარჩევად, რაც იმას ნიშნავს, რომ მმართველი ორგანოები უნდა მივიდნენ კონსენსუსამდე. ჰამბურგში, რექტორს სენატი ირჩევს, ხოლო აკადემიური საბჭო ადასტურებს არჩეულ კანდიდატს. ქვემო საქსონიაში, სენატი აკადემიურ საბჭოს წარუდგენს შესაბამის კანდიდატს და საბჭო ირჩევს რექტორს (Ziegele & Kunkel, 2021).

მიუხედავად შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების ცვალებადობისა, წინა მაგალითებს აქვთ საერთო პროცედურული პოზიცია შიდა და გარე მხარდაჭერის ბალანსის უზრუნველყოფის საკითხში. ყველა მიდგომა შეესაბამება ორმაგი ლეგიტიმაციის ფორმას, რომელიც მიიღწევა კონსენსუსით და ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს როლის ზუსტად განსაზღვრით. ამ საარჩევნო პროცედურების მთავარი მიზანი ორმაგი

ლეგიტიმაციის უზრუნველყოფაა, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჭარბი შინაგანი და გარეგანი დომინირების არიდებას (Ziegele & Kunkel, 2021).

არჩევნების საფუძვლები

ავტონომია

უნივერსიტეტის საბჭო უნდა გავიგოთ, როგორც სამინისტროს ტრადიციული ფუნქციების ჩამანაცვლებელი ორგანო, რათა უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს ავტონომია. ავტონომიური უნივერსიტეტები საუკეთესო მდგომარეობაში არიან მათი სოციალური მისიის, საჭიროებების და მოლოდინების ადაპტაციის კუთხით. თუმცა, მთავრობებს მაინც სურთ, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა ფულის მიზნობრივი ხარჯვა. ამიტომ, გერმანიის ფედერალური ერთეულების უმრავლესობამ უნივერსიტეტებში დააარსა აკადემიური საბჭო, როგორც სამეთვალყურეო ორგანო გარე ჯგუფების ინტერესების დასაცავად უნივერსიტეტებში. ავტონომიის შესაბამისად, გარე პერსპექტივა სამინისტროს ნაცვლად საბჭოდან მოდის (Ziegele & Kunkel, 2021).

„კონტროლისა და ბალანსის“ პრინციპი

უნივერსიტეტის წარმატებული მმართველობისთვის, სენატსა და საბჭოს შორის ურთიერთობა დაბალანსებული უნდა იყოს. ერთის მხრივ, საარჩევნო პასუხისმგებლობის სრულად აკადემიურ საბჭოზე გადაკისრება საფრთხეს შეუქმნის არჩეული პირის შიდა ლეგიტიმაციას უნივერსიტეტში. რექტორად არ უნდა აირჩიონ ინდივიდი, თუ ის არ არის მისაღები უნივერსიტეტის შიდა საზოგადოებისთვის. მეორეს მხრივ, რექტორის არჩევა მხოლოდ სენატის მიერ ასუსტებს რექტორის დამოუკიდებლობის ხარისხს. ამიტომ, "ორმაგი ლეგიტიმაცია" ლოგიკური შედეგია: როდესაც არჩევნებში ორივე მმართველი ორგანოა ჩართული, თეორიულად ეს არის გარანტია, რომ ახლად არჩეულ რექტორს აქვს ორივე - შიდა მხარდაჭერა და დამოუკიდებლობა.

მუშაობს თუ არა ეს პრაქტიკაში?

აღნიშნული მოდელის პირობებში, გამოიკვეთა სხვადასხვა კონფლიქტები. განსაკუთრებით, დაძაბულობა სენატსა და აკადემიურ საბჭოს შორის. სენატს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიმღები ცენტრალური ორგანო, ბევრ ფედერალურ შტატში შეუმცირდა ძალაუფლება (კანონიერი შეზღუდვები აკადემიურ საკითხებზე). ამ შემთხვევაში, სენატი, შესაძლოა, არ დაეთანხმოს საბჭოს მიერ შემოთავაზებულ რექტორის კანდიდატურას. ყოფილა შემთხვევებიც, როდესაც აკადემიური საბჭოს წევრები ცდილობენ, ზედმეტად შებოჭონ უნივერსიტეტი საკუთარი დადგენილებებით, რადგან თვლიან, რომ უკეთესად შეუძლიათ მისი მართვა. მაგალითად, ზიგენის, ლაიფციგისა და გეტინგენის უნივერსიტეტებში მოხდა საჯარო კონფლიქტები აკადემიურ საბჭოსა და სენატს შორის - ისინი ვერ შეთანხმდნენ რექტორის კანდიდატურაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ამან გამოიწვია ხანგრძლივი ბლოკადები. ისევე, როგორც არსებობს პრაქტიკები, როდესაც მენეჯერულმა მოდელმა ვერ შეძლო საკუთარი მთავარი ღირსების, „ორმაგი ლეგიტიმაციის“, უზრუნველყოფა. აკადემიური საბჭოს მიერ მოხდა გარე ინტერეს ჯგუფების ჭარბი შემოტანა უნივერსიტეტში, რამაც დაჯაბნა შიდასაუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესები გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Ziegele & Kunkel, 2021).

II თავი - უნივერსიტეტის მმართველობა: ქართული კონტექსტი

II.1. მმართველი ორგანოები სახელმწიფო უნივერსიტეტებში

ამ თავში განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებები და მათი შედარებითი ანალიზი, ორი ფუნდამენტური კითხვის საფუძველზე: რა ნაკლოვანებები აქვს თითოეულ მათგანს? რამდენად შეესაბამება წესდებებით განსაზღვრული პრინციპები მათი განხორციელების პრაქტიკებს?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ბრძანების თანახმად, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია - რექტორი, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური *(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N135/ნ 2013 წლის 11 სექტემბერი. ქ. თბილისი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებების დამტკიცების თაობაზე. მოძიებულია: 6.06.2023).*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების თანახმად, უნივერსიტეტის მიზანია „სტუდენტთათვის თანამედროვე სტანდარტის შესატყვისი განათლების მიცემა, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მართლშეგნების მაღალი დონის მქონე მოქალაქეთა აღზრდა, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია.“ ასევე, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა.“

ამავე წესდების მე-2 მუხლით განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიზნები და საქმიანობა, რომელთა შორის, კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

ი) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა; ლ) აკადემიური თავისუფლების დაცვა; ნ) კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; ო) უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

იქვე, ნათქვამია, რომ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტი:

გ) ხელს უწყობს სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას; და რომ, სხვა ფაქტორთა შორის, უნივერსიტეტის მართვის პრინციპები უზრუნველყოფს: დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის... სოციალური წარმოშობის და პოლიტიკური შეხედულებებისა. ისევე, როგორც: ე) უნივერსიტეტში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.

მმართველი სტრუქტურების შემადგენლობა და არჩევის წესი

აკადემიური საბჭო არის უნივერსიტეტის კოლეგიური, აკადემიური (საგანმანათლებლო-სამეცნიერო) საქმიანობის მართვის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში არიან და საბჭოს სრულუფლებიან წევრებად ითვლებიან: აკადემიური საბჭოს დავმჯდომარე - რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები. აკადემიური საბჭოს წევრები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩევიან: ა) ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრები - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ; ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლები - ამავე ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრის მიერ. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით. რექტორი არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ოთხი წლის ვადით. რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს *(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N135/ნ 2013 წლის 11*

სექტემბერი. ქ. თბილისი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებების დამტკიცების თაობაზე. მოძიებულია: 6.06.2023).

წესდების მე-10 მუხლის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც აირჩევა უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიურ პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის მომენტში ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში საბჭოს წევრის სტატუსით შედის უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ არჩეული 1 წარმომადგენელი. მე-11 მუხლის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებებიდან, საკვლევ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია მისი უფლებამოსილება, ა) შეიმუშავოს და აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილოს უნივერსიტეტის წესდების, წესდების ცვლილებების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს; ასევე, გ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილოს და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით დაამტკიცოს უნივერსიტეტის სტრუქტურა, რაც აისახება უნივერსიტეტის წესდებაში; ზ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით დაამტკიცოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, შრომის ანაზღაურების (სახელფასო ფონდის) ოდენობა და პირობები; თ) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით დაამტკიცოს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევის წესი *(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №211/ნ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 22 ივნისის ბრძანება №71/ნ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 25 თებერვლის ბრძანება №38/ნ.).*

მე-13 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. არსებობს კონკრეტული შემთხვევები, როდესაც წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე კვორუმის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. 2023 წლის გაზაფხულზე, სწორედ მსგავსი შემთხვევის მომსწრენი გახდნენ „მაისის სტუდენტური მოძრაობის“ წევრები და სხვა სტუდენტები, რომლებიც, დაინტერესების საფუძველზე, ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას. საბჭოს წევრთა ნაწილის გვიან გამოცხადების და/ან გამოუცხადებლობის საფუძველზე, თავმჯდომარემ მათ მეტი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა.

მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რექტორი არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის წესდებაში წარმოდგენილი მისი უფლებამოსილებები საკმაოდ მწირია, განსაკუთრებით, თუ შევადარებთ, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების ნუსხას.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის დადგენილების თანახმად, რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს (რომელიც სარგებლობს რექტორისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით მინიჭებული სრული უფლებამოსილებებით) ირჩევდა საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი *(სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე. აკადემიური საბჭოს დადგენილება N: 36/2016. თარიღი: 4.04.2016. მოძიებულია: 10.05.2023).* თუმცა, 2022 წელს, როდესაც რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ვადაზე ადრე დატოვა თანამდებობა და უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ დადგა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის საჭიროების წინაშე, აკადემიურმა საბჭომ გამოსცა დადგენილება,

რომლის თანახმად, აკადემიური საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით *(სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის/რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების პროცედურის დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება N: 98/2022. თარიღი: 17.10.2022. მოძიებულია: 10.05.2023).* შედეგად, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით რომ აკადემიურმა საბჭომ მოახდინა უნივერსიტეტის საარჩევნო ძალაუფლების მონოპოლიზება და პროფესურას ხელიდან გამოეცალა მმართველი ორგანოს არჩევნებში პირდაპირი მონაწილეობის ერთადერთი მექანიზმი.

მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის (ო) ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე. 2022 წლის ოქტომბრის თვეში, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 165 000 ლარის მითვისების ბრალდებით ყოფილი ბუღალტერი და მასთან დაკავშირებული პირი დააკავეს. თავად ფაქტი, 2021 წლის დეკემბრით თარიღდება *(Publika.ge).* ამავე პერიოდში, რექტორის თანამდებობა ვადამდე ადრე დატოვა გიორგი შარვაშიძემ. თუმცა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა შორის საკადრო ცვლილება არ განხორციელებულა.

36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სტუდენტი უფლებამოსილია, (ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და (დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, წარმომადგენლობით საბჭოსა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შემთხვევაში ფუნდამენტურ პრობლემას სწორედ არათანაბარი წინასაარჩევნო პირობები წარმოადგენს. ეს გამოიხატება იმ სოციალური კაპიტალის უთანასწორობაში, რომელიც არსებობს რიგით სტუდენტებსა და თვითმმართველობის წევრ სტუდენტებს ან მათთან დაახლოვებულ პირებს შორის. თვალნათელია, თუ რამდენად განსხვავდება სტუდენტთა

სხვადასხვა ჯგუფების ხელთ არსებული წინასაარჩევნო მობილიზაციისთვის საჭირო მატერიალური თუ არამატერიალური რესურსები. ეს მოცემულობა განაპირობებს არჩევნების წინასწარგანსაზღვრულ შედეგებს, რაც, თავისთავად, აისახება წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა რეპრეზენტატულობაზე. 2022 წლის შემოდგომაზე, როდესაც ჩატარდა წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები, მედიაში გავრცელდა „სქრინები“ და ხმოვანი ჩანაწერები, სადაც გამოიკვეთა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, მხარდამჭერთა მობილიზების მიზნით, ისეთ მეთოდებს მიმართავდნენ, როგორიცაა: თვითმმართველობის წევრი სტუდენტების მიერ ამომრჩეველთა სიების წარმოება და მათი უპირობო მობილიზება.

უნივერსიტეტის წესდებაში საგულისხმოა, რომ სტუდენტს უფლება აქვს (ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად და (ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ:

> *„თვითმმართველობა არის შესანიშნავი სიტყვა, უდიდესი მნიშვნელობის მქონე, რომელიც შეგვაძულესო, ვიძახდით აუდიტორიის დროს. ამ წარმოუდგენელი სანახაობისგან... რომელიც, ალბათ, ყველაზე კიჩურად აღწერს, თუ რა ხდება პარტიული პოლიტიკის მხრივ საქართველოში. ამასთან წაბრძოლებები არის სტუდენტური მოძრაობები, რაც წლების განმავლობაში იქმნება და იქმნება, ძირითადად, თსუ-ში... მხოლოდ გარედან პროტესტით ხდება, სტუდენტების გარკვეული ნაწილისგან, იმ საერთო სათქმელების გაჟღერება, რაც, ძირითადად, პირველი კორპუსის ეზოში ხდება აქციის სახით, მეტწილად“* (სიღრმისეული ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის წევრთან. 24.06.2023).

მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს, ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

რაც შეეხება, დისციპლინური წარმოების განხორციელებას, სტუდენტს უფლება აქვს (გ) მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები და (დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში. სტუდენტს, ასევე, უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. 2022 წლის სექტემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ ჩაატარა სხდომა, სადაც განიხილეს სტუდენტური მოძრაობის რამდენიმე წევრის საქმე „შესაძლო დისციპლინურ გადაცდომებთან“ დაკავშირებით (May Student Movement, 2022). ამ პროცესში, სტუდენტებმა ვიდეოჩანაწერის სახით წარადგინეს მტკიცებულება, თუმცა, საბჭო მას არ გასცნობია. მეტიც, უნივერსიტეტის მხრიდან, სოციალურ მედიაში გავრცელდა კადრების ფრაგმენტული ვერსიები, რაც სტუდენტების მიმართ საზოგადოების მხრიდან მწვავე უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველი გახდა. სხდომის წევრთა ნაწილმა გააჟღერა, რომ მათ არ შეუსწავლიათ უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენების ამსახველი სრული ვიზუალური მასალა.

50-ე მუხლი წესდებაში ცვლილების შეტანის წესის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „წესდებაში ცვლილების პროექტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მონაწილეობით შეიმუშავებს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭო”. უნივერსიტეტის რექტორი, ჯაბა სამუშია, „მაისის სტუდენტური მოძრაობის“ წევრებს თვეების განმავლობაში არწმუნებდა, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია შესაბამისი ბერკეტი სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი მოთხოვნის - სახელმწიფო უნივერსიტეტებში რექტორის არჩევის წესის ცვლილების - დასაკმაყოფილებლად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „უნივერსიტეტში არჩევნები ტარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და ამავე დებულებით დადგენილი წესით“. იმავე მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების

საფუძველზე, „უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებს ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომლის წევრებს და თავმჯდომარეს ნიშნავს რექტორი“.

მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულია, რომ “წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით განსაზღვრული წესით” *(სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულება. დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სცდომის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შესულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 1-ლი აპრილის N3 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 27 აპრილის N1 სხდომის გადაწყვეტილებით. მოძიებულია: 13.05.2023).*

საყურადღებოა, რომ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი, გარდა სტატუსშეჩერებული სტუდენტებისა. სტუდენტს, რომელსაც სურვილი აქვს, რომ იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, არ უნდა იყოს ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრი და უნდა ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება, საუნივერსიტეტო რეიტინგის მიხედვით არანაკლებ 91 ქულისა“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ხაზგასმული არ არის, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის უფლება არ აქვთ სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს საარჩევნო პრაქტიკაში მათ თანამონაწილეობას. სამართლიანი იქნება, აღინიშნოს, რომ სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, სტატუსის შეწყვეტამდე (5 წლის განმავლობაში) სასურველია, ჰქონდეთ სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ვინაიდან, სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა პრობლემატიკა და მათი გამომწვევი მიზეზები, უმეტესწილად, სწორედ საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან დაკავშირებული ბარიერებია. უნივერსიტეტის წესდება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზნად ისახავს სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას და თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის სოციალური წარმოშობისა. ასევე, თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში, განსხვავებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებისგან, არ ფიქსირდება მოთხოვნა სენატის წევრობის კანდიდატ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ.

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტიდან/სკოლიდან ორი წარმომადგენლით. აკადემიური საბჭოს წევრებს ფაკულტეტებიდან/სკოლიდან ირჩევენ ფაკულტეტების/სკოლის აკადემიური „პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები“. მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რექტორის არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო თავისი გადაწყვეტილებით“ და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, “რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორის არჩევნების ჩატარებასა და კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია”. შესაბამისად, აკადემიური საბჭოს და რექტორის არჩევის პროცედურები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, არსებითად, იდენტურია.

23-მე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „იკრძალება ლექცია/სემინარებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე, ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ასეთის დაპირება და სხვა).“

II.2. აკადემიური სივრცის პრობლემები

აკადემიური სივრცის პრობელემბის შესახებ ძირითად წყაროს წარმოადგენს კვლევის რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაცია. ისინი ვრცლად საუბრობენ სხვადასხვა პრობლემებზე. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ერთიანდება შემდეგ თემატურ ჯგუფებში: სამთავრობო გავლენა სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რექტორის არჩევის წესი და მისი მენეჯერული როლი, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები,

სტუდენტური წარმომადგენობის პრობლემა, აკადემიური მენეჯერიალიზმი, ავტონომია და დამოუკიდებლობა, უმაღლესი განათლების რეფორმა, უნივერსიტეტის დაფინანსება და განათლების ხელმისაწვდომობა, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო ქონების პრივატიზაცია, აკადემიური ქსოვილის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის პრობლემები, იდეოლოგიზირებული კვლევა და სწავლება, სტუდენტური პროტესტი, უნივერსიტეტის რეაგირება, დაბოლოს, კითხვა - ვინ მართავს უნივერსიტეტს?

სამთავრობო გავლენა სახელმწიფო უნივერსიტეტებში

2011 წლის აპრილში, როდესაც სტუდენტური მოძრაობა „ლაბორატორია 1918“ ჩამოყალიბდა, სახელმწიფო უნივერსიტეტების აკადემიურ ინტერესებზე სამთავრობო გავლენა დომინირებდა, რამაც გამოიწვია სტუდენტთა უპირობო წინააღმდეგობა არსებული სისტემის ყოველი მანკიერი კომპონენტისადმი. ფილოსოფიის დოქტორანტი (Université Paris VIII Vincennes – Saint-Denis) და აქტივისტი იხსენებს:

> *„ვითხოვდით, ზოგადად, უნივერსიტეტის ავტონომიას, რაც გამოწვეული იყო მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან, როდესაც მთელი აკადემიური პერსონალი იქცა მაშინდელი ხელისუფლების რუპორად და იდეოლოგიური მიზანმიმართული ინდოქტრინაცია ხდებოდა უნივერსიტეტებში. განსაკუთრებით, რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტში. თსუ-ში და ილიაში, უფრო მეტად“* (ინტერვიუ „ლაბორატორია 1918“-ის ყოფილ წევრთან. 24.01.2023).

რესპონდენტთა აზრით, სამთავრობო გავლენის მახასიათებლებს შორის შესაძლებელია, გამოვყოთ: 1) *ეკონომიკური საკითხი* - გარდა სტუდენტური ვაუჩერისა, „არსებობს სახელმწიფო დაფინანსების სხვადასხვა ფორმები, რომლის მიღება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ლოიალურად არის განწყობილი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ტავრობისადმი“ (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის და წარმომადგენლობითი სამჭოს ყოფილ წევრთან. 25.05.2023). გარდა სტუდენტური დაფინანსებისა, ეს ეხება უნივერსიტეტის

დაფინანსებასაც. „როდესაც ბატონი პაპავა იყო რექტორი, იმ დროს, პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება ძალიან შეზღუდული იყო, მაგრამ, როგორც კი, მოვიდა ბატონი შარვაშიძე, რომელიც უფრო ახლოს იყო, ასე ვთქვათ, მაშინდელ პრემიერ-მინისტრთან, წამოვიდა დაფინანსება, მესამე კორპუსის გარემონტება და ა.შ.“ (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის და წარმომადგენლობითი სამჭოს ყოფილ წევრთან. 25.05.2023). 2) *საკანონმდებლო ცვლილებები* - უნივერსიტეტის მხრიდან, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, აქტიურდება სახელმწიფო რეგულაციები, რადგან სახელმწიფოს სურს, თავად აკონტროლოს, თუ რა პირობებში არსებობს პროფესურა, როგორც მნიშვნელოვანი და გავლენიანი საამომრჩევლო ბაზა.

> *„როგორც კი უნივერსიტეტი რაღაც საკითხში ავტონომიურობას გამოავლენდა, დამოუკიდებლად იწყებდა ზოგიერთი თემის გადაწყვეტას, ამ დროს მოდის სახელმწიფო რეგულაციები. ვთქვათ, როდესაც ბატონმა პაპავამ დააპირა, რომ პროფესორებს ჰქონოდათ 'ფიერ-რევიუ', მერე იწყებოდა პარლამენტში განხილვა, რომ ეს უნდა დავუწესოთ თუ არა პროფესორებს იმიტომ, რომ პროფესორები სოციალური ბაზაა, საამომრჩევლო ბაზაა“* (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის და წარმომადგენლობითი სამჭოს ყოფილ წევრთან. 25.05.2023)).

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს ეკონომიკის მინისტრი (1994-2000) სამთავრობო გავლენას, უნივერსიტეტის დაფინანსებასა და აკადემიურ თავისუფლებას შორის არსებულ მკაფიო კავშირს მიმოიხილავს. ის, ასევე, საუბრობს სამეცნიერო საზოგადოების, როგორც მთავრობის უპირველესი სასურველი მრჩევლის როლის შესახებ, რომელიც მას, სამწუხაროდ, რეალურად არ გააჩნია:

> *„ის, რომ უნივერსიტეტი უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ, არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს სახელმწიფომ მიუთითოს და ჩაერიოს მის აკადემიურ თავისუფლებაში. უნივერსიტეტი უნდა გახდეს მთავრობის მრჩეველი, ამა თუ იმ პრობლემაზე. იქნება ეს ეკონომიკა, იქნება ეს ფინანსები, იქნება საერთაშორისო*

ურთიერთობები, თუნდაც, განათლების სისტემა“ (ინტერვიუ თსუ-ის ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

ის, ასევე, საუბრობს შემთხვევის შესახებ, როდესაც კონფლიქტში ორი განსხვავებული საკითხი ფიგურირებდა: აკადემიური თავისუფლება და პრივატიზაცია. ეს შემთხვევა არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ პოტენციურ კონფლიქტთა რიცხვი აკადემიურ სივრცეში არსებული პრობლემების კომბინაციის შედეგად გეომეტრიული პროგრესიით ვითარდება.

„ჩემი გამოცდილება ნამდვილად არ არის კარგი. ჩემი გამოცდილება აკადემიური თავისუფლების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული. ჩემი რექტორობის დროს მთავრობას უნდოდა გაზგასამართი სადგურის აშენება, უნივერსიტეტს რომ დაეთმო საკუთრებაში არსებული სივრცეები, შენობა-ნაგებობები, მომხდარიყო მათი პრივატიზაცია, რაც ჩემი რექტორობის დროს არ გაკეთებულა. ეს არაფერ კავშირში არ არის აკადემიურ თავისუფლებასთან, მაგრამ ამან შექმნა კონფლიქტი უნივერსიტეტსა და მთავრობას შორის“ (ინტერვიუ თსუ-ის ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

უნივერსიტეტებში შექმნილ კლიმატს კი უკავშირებს საზოგადოების პოლიტიკურ კულტურას:

„ცუდი რამე ხდება, იცით, უნივერსიტეტებში? ჩვენს ქვეყანაში არის ძალიან დაბალი პოლიტიკური კულტურა და ეს გადმოსულია უნივერსიტეტზე. ნებისმიერი პროფესორი თუ სტუდენტი არის პოტენციური ამომრჩეველი. ეს არ უნდა გადმოდიოდეს აკადემიურ პროცესზე. სამწუხაროდ, ეს გადმოდის, რაც იგრძნობა ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის არჩევნებში. იგრძნობა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში. ეს იგრძნობა აკადემიური საბჭოს არჩევნებში. კიდევ უფრო ძლიერად იგრძნობა სენატის არჩევნებში. იმიტომ კი არა, რომ ნებადართულია, აკრძალულია, მაგრამ დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეყანა ვართ“ (ინტერვიუ თსუ-ის ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

ფილოსოფოსი, ქალთა უფლებების დამცველი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თვლის:

> *„უნივერსიტეტი არის აკადემიური დაწესებულება. აქ უნდა ხორციელდებოდეს განათლებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, მაგრამ ის, რომ ხელისუფლება ან პოლიტიკური ჯგუფები ერეოდნენ უნივერსიტეტის მუშაობაში ან იყენებდნენ უნივერსიტეტის პერსონალს პოლიტიკური მიზნებისთვის, ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება"* (ინტერვიუ განათლების მკვლევართან. 23.06.2023).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობენ პროფესორები, რომელთა მიმართ, პოლიტიკურ ნიადაგზე, არასამართლებრივი ქმედებები განხორციელდა. ერთ-ერთი მათგანი უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს. მოგვიანებით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ის აღადგინეს აკადემიურ თანამდებობაზე, თუმცა, უნივერსიტეტში მის მიმართ განხორციელებულ არასამართლებრივ ქმედებას რეაგირება არ მოჰყოლია.

> *„2011 წელს აკადემიური კონკურსი მე ვერ გავიარე. გამომაგდეს უნივერსიტეტიდან, პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, ჩემი პოლიტიკური მოსაზრებების და შეხედულებების გამო. მე პირველი ინსტანციის სასამართლო წავაგე, მაგრამ მეორე ინსტანციის სასამართლო მოვიგე, რომელიც უნივერსიტეტმა გაასაჩივრა და შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო მოვიგე და ამ პროცესით დავბრუნდი უნივერსიტეტში... სხვა პარტიების ფავორიტებიც არ გრძნობენ დისკომფორტს, მაინცდამაინც, უნივერსიტეტში. ეს იყო სრულიად დაგეგმილი პროცესი, რომელსაც ქალბატონი დოლაბია ხელმძღვანელობდა და მას არანაირი დისკომფორტი არ შეჰქმნია. არც წინა მმართველობის დროს ჰქონდა რაიმე დისკომფორტი და არც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ. პირიქით, ის დააწინაურეს ფაკულტეტზე"* (ინტერვიუ ასოცირებულ პროფესორთან. 23.06.2023).

გარდა ამისა, რესპონდენტი გვიზიარებს ხედავს, თუ როგორი ურთიერთმიმართება უნდა არსებობდეს მთავრობასა და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის. ის, ასევე, იზიარებს კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტის ხედვას სამეცნიერო საზოგადოების, როგორც პოლიტიკური მრჩევლის ფუნქციის შესახებ:

> *„ასეთი დებატი გამორიცხულია მედია სივრციდან, საჯარო სივრციდან. მე ვფიქრობ, უნივერსიტეტს, რა თქმა უნდა, შეუძლია, რომ ამ პროცესს უწინამძღვროს და შექმნას აკადემიური კერები და დიალოგში შევიდეს. პოლიტიკოსებმა კი არ უკარნახონ რა იკვლიოს, არამედ აკადემიამ შესთავაზოს, სწორედ, პოლიტიკოსებს, რა საკითხები შეიტანონ მათ დღის წესრიგში“* (ინტერვიუ ასოცირებულ პროფესორთან. 23.06.2023).

კვლევის მხოლოდ ერთ-ერთი რესპონდენტისთვის კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „როდესაც ვსაუბრობთ სამთავრობო გავლენის შესახებ სახელმწიფო უნივერსიტეტებში, როგორი გავლენა გახსენდებათ, პირველ რიგში, და რატომ?“ მან უპასუხა:

> *„ის გავლენები, ალბათ, რა ფორმითაც მე დამხვდა უნივერსიტეტში ჩაბარების დროს. ეს არის სისტემა, რომელშიც სახელმწიფო უნივერსიტეტს მოიაზრებს, როგორც მის ორგანიზაციას, მისი პარტიული იდეოლოგიის გამტარ დაწესებულებას. ცუდ შემთხვევებში, უნივერსიტეტი ერთგვარი იდეოლოგიური ბანაკია. მთავრობების როლი ისაზღვრება ისე, რომ აკონტროლოს აკადემიური პერსონალი და სტუდენტი და ამ საკონტროლო მექანიზმში მისი გამწევი ძალა იყოს ადმინისტრაცია“* (ინტერვიუ რესპონდენტთან. 24.06.2023).

რესპონდენტების აზრით, სახელმწიფო უნივერსიტეტებში სამთავრობო გავლენის სასურველი ფორმებია სოციალური პოლიტიკის გატარება და სახელმწიფოებრივი იდეების დამკვიდრება. ისინი ხაზგასმით ამბობენ, რომ „სახელმწიფოებრივი“ არ მოიაზრებს სამთავრობო ან პარტიულ იდეებს. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური სივრცის, დამოუკიდებლობის პრობლემას 1921 წელს ჩაეყარა საფუძველი და დღემდე გრძელდება.

„სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს გატარებული, სახელმწიფოებრივი იდეები უნდა იყოს ნარატივში. უნდა იყოს გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა და არა სამთავრობო, რომელიც უნდა იყოს აკადემიური თავისუფლებისკენ მიმართული. ჩემი აზრები ყოველთვის გამომდინარეობს მარქსისტული ხედვიდან, რომ საბაზისო საჭიროებები ადამიანისთვის არის მასზე გავლენის მოხდენის ცენტრალური იარაღი. მოხდა ის, რომ 1921 წლის მერე სახელმწიფო გავლენები სახელმწიფო უნივერსიტეტზე აისახება იმის შემდეგ, ყოველთვის, დღევანდელ დღემდე, ნეგატიურად. იგივე რეალობაში ვართ, რაშიც 1921 წლის შემდეგ“ (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის ყოფილ წევრთან. 24.06.2023).

რექტორის არჩევის წესი და მისი მენეჯერული როლი, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები

კვლევის რესპონდენტები თვლიან, რომ რექტორის არჩევის პროცედურას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მიუხედავად ამისა, სტუდენტური მოძრაობები ყოველთვის აჟღერებდნენ რექტორის არჩევის წესის ცვლილების მოთხოვნას. რესპონდენტები თვლიან, რომ რექტორის პირდაპირი გზით არჩევა უნივერსიტეტის პროფესურის მიერ აკადემიური გარემოს გაჯანსაღებისთვის არასაკმარისი, თუმცა, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მათი მოსაზრებები ემყარება არგუმენტს, რომ ამჟამად არსებულ წარმომადგენლობით პროცედურასთან შედარებით, რექტორის პირდაპირი წესით არჩევა უფრო ჰორიზონტალურია და ამცირებს ამომრჩევლებზე გავლენის მოხდენის რისკებს. სწორედ ამიტომ, „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნის საფუძველზე, ერთხელ უკვე გაიზარდა აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობა.

„ყოველთვის, საქართველოში იდგა საკითხი იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა, აგვერჩია რექტორი და ყოველთვის ჟღერდებოდა ეს მოთხოვნები სტუდენტების მხრიდან. თუკი რექტორი აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ, მაშინ ისმის კითხვა: ვინ

წარმოადგენს აკადემიურ საბჭოს და ვინ არიან მისი წევრები? თუ ჩვენ მათ ვერ ვუცხადებთ ნდობას, მაშინ გამოდის, რომ ვერც ნდობას გამოვუცხადებთ მათ მიერ არჩეულ პირს. მაშინ უნდა შეიცვალოს თვითონ აკადემიური საბჭოს არჩევის წესებიც. საჭირო იქნება, რომ უფრო მეტი ახალგაზრდა მკვლევარი მოხვდეს ამ პროცესში და იყვნენ რაც შეიძლება დამოუკიდებელი პირები" (ინტერვიუ „ლაბორატორია 1918"-ის ყოფილ წევრთან. 24.01.2023).

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ აკადემიური გარემოს გაჯანსაღებისთვის, რექტორის არჩევის პროცედურა არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს, თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტში პროფესორებს ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირი თანამონაწილეობის საშუალება. თითოეული რესპონდენტი აღნიშნავს, რომ გადამწყვეტია, უნივერსიტეტის მმართველი ორგანოები დაკომპლექტებული იყოს აკადემიური ხარისხის მქონე პირებისგან.

„მე ვერ ვხედავ თვითონ პროცედურაში პრობლემას. მე ვხედავ პრობლემას გარემოში. თუ აკადემიურ საბჭოში მოხვედრის უფლება ექნებათ მხოლოდ, პირობითად ვამბობ, თენუირებულ პროფესორებს და ისინი არჩეული იქნებიან მაღალი ლეგიტიმაციით, მათ რომ აირჩიონ რექტორი, ამაში პრობლემას მე ვერ ვხედავ. მეორე ვარიანტია, ყველა თენუირებულმა პროფესორმა აირჩიოს რექტორი. ამას ვემხრობოდით ხოლმე ჩვენი განხილვების დროს. პრობლემაა იმაში, რომ ჩვენ არ გვყავს ასეთი პროფესორები. პროფესორები, რომელთა აკადემიური ხარისხი შემოწმებულია და ამ აკადემიური ხარისხის მისაღწევად გარკვეული პირობებიც მათ შექმნილი ჰქონდათ და, როცა ეს არ არის, მერე იქმნება ეს კლანები და გაჰყავთ თავისი რექტორი" (ინტერვიუ წარმომადგენლობითი საბჭოს ყოფილ წევრთან. 25.05.2023).

იგი კრიტიკულად არის განწყობილი, ასევე, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების თანაარსებობისადმი. საკანონმდებლო ცვლილების ინიციატივა სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ხშირად წარმოდგენილია, როგორც ბარიერი და ჩამკეტი მექანიზმი. თუმცა, იურიდიულად, წესდების და კანონმდებლობის თანახმად,

უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ბერკეტი, სრული ლეგიტიმაცია და პასუხისმგებლობაც, საჭიროების შემთხვევაში, წამოაყენოს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები.

> *„დღემდე არ მესმის ეს დუბლირება, მრავალი საბჭო რომ არის შექმნილი. მივიჩნევდით, რომ ზედმეტია, თან აკადემიური საბჭო არსებობდეს და თან სენატი. ვამბობდით, რომ არსებობდეს მხოლოდ სენატი, უბრალოდ, სადაც აკადემიური გადაწყვეტილებებია მისაღები, სადაც აკადემიური ხარისხია საჭირო, იმ გადაწყვეტილებების მიღების დროს, სტუდენტებმა არ მიიღონ კენჭისყრაში მონაწილეობა და იმ საკითხების განხილვას არ დაესწრონ. ესეც ითხოვდა ეროვნული კანონმდებლობის ცვლილებას და უფრო მეტ სირთულესთან იყო დაკავშირებული“* (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის და სენატის ყოფილ წევრთან. 25.05.2023).

რესპონდენტი იხსენებს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებს, რომელიც პირდაპირი დემოკრატიის უკანასკნელი პრეცენდენტი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

> *„გვქონია გამოცდილება, როცა პაპავას გადადგომის შემდეგ, პირდაპირ, ყველა პროფესორმა აირჩია რექტორის მოვალეობის შემსრულებელი და დარეჯან თვალთვაძე გავიდა რიხინ-რიხინით. ძლივს გავაჩერეთ, ისეთი უმრავლესობა მიიღო. თან, ძალიან მრავალფეროვანი არჩევანი იყო და დარეჯანი იყო ხელისუფლების რჩეული“* (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის და სენატის ყოფილ წევრთან. 25.05.2023).

იგი კრიტიკულად აფასებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის არჩევნებს, რომელშიც მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა. იგი, ზოგადად, საუნივერსიტეტო არჩევნების არაეფექტურობის ერთ-ერთ საგულისხმო მიზეზად თანაბარზომადი კანდიდატების არარსებობას ასახელებს. მის მონათხრობში იკვეთება ე.წ. „ჰობსონის არჩევანი“ (Brghouse & Bezant, 1992), რაც მრავალფეროვანი ალტერნატივების მიუხედავად, შედეგის უალტერნატივობას გულისხმობს.

„ეს წლევანდელი მოვლენა... ეს მოიტანა იმ სტაგნაციამ, რაც უნივერსიტეტში ბატონმა შარვაშიძემ შემოიტანა. ბუნებრივი არ არის და, იმედია, არც იქნება მომავალში, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, ვთქვათ, ლადო პაპავას რომ ირჩევდნენ, მაშინ ჩვენ დავაორგანიზეთ რექტორის კანდიდატებს შორის დებატები. იყო 16 კანდიდატი. ორი რეალური კანდიდატი იყო: ლადო პაპავა და მარინე ჩიტაშვილი. მარინე ჩიტაშვილმა, როგორც ამერიკის რესპუბლიკური პარტიის პრაიმერში არის, თავიდან რომ ხოცავენ ერთმანეთს და მერე რომ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი ხდება ხოლმე პრაიმერის მოწინააღმდეგე, ასე გახდა ლადო პაპავას ვიცე-რექტორობის კანდიდატი და გადაწყდა საქმე. (კონკურენციას) ყოველთვის ფიქტიური მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტის არჩევნებში. თანაბარზომადი კანდიდატები არასდროს ყოფილან“ (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის და სენატის ყოფილ წევრთან. 25.05.2023).

ნაშრომში გამოიკვეთა ლოგიკა, რომ უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების არჩევის პროცედურა, თავისთავად, პრობლემას არ წარმოქმნის, როდესაც ის ლეგიტიმური ორგანოს მიერ ხორციელდება. „ჩემთვის, პრინციპული არ არის მთელი უნივერსიტეტი აირჩევს პირდაპირი არჩევნებით თუ არჩევნები იქნება *ლეგიტიმური ორგანოს* მიხედვით, ამაში განსხვავება არ არის“ (ინტერვიუ უნივერსიტეტის ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტი რექტორის არჩევნების და სხვა აკადემიური კონკურსების წესის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს საუნივერსიტეტო საზოგადოების საყოველთაო ჩართულობას:

„რექტორის არჩევის წესი, ჩემი აზრით, უნდა იყოს საყოველთაო კონსენსუსის საგანი. ამ წესის შემუშავება უნდა მოხდეს ისე, რომ უნივერსიტეტის ყველა პროფესორი და სტუდენტებიც, მათ შორის, ის სტუდენტებიც, ვინც დაამთავარა უნივერსიტეტი... მათი მონაწილეობითაც უნდა მოხდეს ამის განხილვა, არჩევის წესის. ზოგადად, თუნდაც, აკადემიური კონკურსების წესის“ (ინტერვიუ განათლების მკვლევართან. 23.06.2023).

კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი კი მოვლენათა განვითარების სრულიად უარყოფით სცენარს განიხილავს და თვლის, რომ რექტორის საყოველთაო არჩევნები გამოიწვევს აკადემიური პერსონალის პოლიტიკური ნიშნით შერჩევას, რათა შემდგომ, მათ უზრუნველყონ მთავრობისთვის პოლიტიკურად სასურველი პირის გამარჯვება.

> *„შეცვლის იმას, რომ 37 ადამიანის მაგივრად, საჭირო იქნება უფრო მეტზე გავლენა და ამ მობილიზაციას გააკეთებენ. რა თქმა უნდა, უფრო მეტი ძალისხმევა დასჭირდებათ. ყველა ლექტორის დანიშვნაში ჩაერთვება და თავის პირებს დანიშნავს, უფრო მეტად პოლიტიკური ნიშნით დანიშნული ლექტორი იქნება სისტემაში და უფრო მეტად პოლიტიკურად ანგაჟირებული სივრცე გვექნება ამ რეალობაში. მიუხედავად იმისა, რომ მე ვარ ამისკენ, რომ ყველამ ერთად აირჩიოს, ათენური დემოკრატიის ეს ნაწილი ძაან მომწონს, ამ საწყისებით, რომელშიც ვართ, სადაც შეუფარავი გავლენები არის, თან ეს ბერკეტები, რასაც აუცილებლად გამოძებნიან, საბოლოო ჯამში, დღევანდელი დღე შეიცვლება უარყოფითისკენ“* (ინტერვიუ რესპონდენტთან. 24.06.2023).

სტუდენტური წარმომადგენლობის პრობლემა

როგორც წესი, საუნივერსიტეტოს საზოგადოება, გარდა თავად ამ ორგანოთა წევრებისა, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას უარყოფითად აფასებს. შესაბამისად, მუდმივად მიმდინარეობს მსჯელობა სტუდენტური წარმომადგენლობის ალტერნატიული გზების შესახებ.

> *„თვითმმართველობას დამოუკიდებელი სტუდენტები ნდობას არ უცხადებენ და შეიძლება, საკითხიც დაისვას - როგორ შეიძლება სტუდენტების ხმა გაჟღერდეს არჩევის პროცესში და შეიძლება, მოეწყოს დამოუკიდებელი საარჩევნო პროცესი, რომელიც მხოლოდ სტუდენტების მიერ იქნება მართული. აქ სტუდენტებში არ იგულისხმება მხოლოდ არსებული თვითმმართველობა, არამედ დამოუკიდებელი სტუდენტური კოლექტივები. საკმარისად ძლიერი უნდა იყოს სტუდენტური*

მოძრაობა, რომ ეს მოთხოვნა გააჟღეროს და შემდეგ, არჩევნების პროცესში თავის დამკვიდრება შეძლოს“ (ინტერვიუ „ლაბორატორია 1918“-ის ყოფილ წევრთან. 24.01.2023).

გავრცელებულია შეხედულება, რომ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობასა და ორგანიზების წესში ვლინდება მრავალი მსგავსება კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებთან თუ პარტიებთან. ამ ორგანოს ახასიათებს თანამონაწილეობის ანალოგიური პრობლემატიკა, რაც, ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით არის გავრცელებული თვითმმართველობის დონეზე.

„თანამონაწილეობა, არ არსებობს საქართველოში, რეალური თვითმმართველობა, მით უმეტეს, სტუდენტური. ადგილობრივი თვითმმართველობები, პარტიული პოლიტიკის გატარების კუთხით და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტით, იმხელა არ არის, რამხელაც სტუდენტური თვითმმართველობი იმიტომ, რომ ეს მუშაობს ყველაზე წარმატებით. ისე წარმატებით, რომ ვერცერთმა მთავრობამ ვერ შეძლო, დაპირების მიუხედავად, ამაზე უარის თქმა. „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება ეს იყო, რომ ამას აუცილებლად შეცვლიდნენ. ისეთი ჩაკეტილი და ისეთი კეთილმოწყობილი სისტემა ჰქონდათ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, რომ ამასთან ბრძოლა წარმოუდგენელი იყო. „ქართულმა ოცნებამ“ უბრალოდ გაალურჯა ეს წითელი თვითმმართველობა“ (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის ყოფილ წევრთან. 24.06.2023).

აკადემიური მენეჯერიალიზმი

კვლევის რესპონდენტები საუბრობენ აკადემიური მენეჯერიალიზმის შესახებ. ეს არის ის აკადემიური რეალობა, რომელშიც ვარსებობთ, როდესაც უნივერსიტეტის ნაწილი ვხედბით. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სიღრმისეულად და კრიტიკულად არის შესწავლილი აკადემიური მენეჯერიალიზმი საერთაშორისო საზოგადოების, უპირველეს ყოვლისა, მის მშობლიურ ქვეყნებში, საქართველოში აკადემიური წრის წარმომადგენლებს შორის მწირია

ინფორმაცია უნივერსიტეტის მართვის ამ მოდელის შესახებ. ქართული აკადემიური საზოგადოების წევრები საუბრობენ სწორედ იმ აკადემიურ პრობლემებზე, რომელთა ჯამი სხვა არაფერია, თუ არა აკადემიური მენეჯერიალიზმი. შესაბამისად, იკვეთება აკადემიური საზოგადოების ცნობიერების პრობლემა აკადემიური მენეჯერიალიზმის, როგორც მათი საარსებო გარემოს შესახებ.

> *„აკადემიური მენეჯერიალიზმი შეიძლება, მისაღები იყოს კერძო უნივერსიტეტებისთვის, მაგრამ ასწლოვანი უნივერსიტეტისთვის ასეთი კრიტერიუმების შემოტანა, მე მგონია, რომ არ არის მისაღები. რექტორი გახდე და მხოლოდ საბაზრო მოდელზე ააწყო უნივერსიტეტი, ეს დიდ და კლასიკურ, გამოცდილ უნივერსიტეტებში არ გამოდის. ამ კომპონენტების დაკმაყოფილებისთვის უნივერსიტეტის სტრუქტურაში არის კონკრეტული თანამდებობა, უნივერსიტეტის კანცლერის სახით. ასე რომ, რექტორი რატომ უნდა იყოს, ვთქვათ, „ბი ემ ჯი“ ჯგუფის ყოფილი ანალიტიკოსი, მე არ მესმის“* (ინტერვიუ წარმომადგენლობითი საბჭოს ყოფილ წევრთან. 25.05.2023).

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, მენეჯერული მმართველობა საზიანოა როგორც უნივერსიტეტისთვის, ასევე, მთავრობისთვის, ვინაიდან, მენეჯერს არ გააჩნია სპეციფიური აკადემიური გამოცდილება და ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია საუნივერსიტეტო სივრცეში ეფექტური და ჰარმონიული თანაარსებობისთვის.

> *„მენეჯერის ადგილი არის ბიზნესში. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი უნდა იყოს აუცილებლად მეცნიერი, ლექტორი. მას უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს სტატიის თუ მონოგრაფიის დაწერა. მენეჯერს ეს არ ესმის. ამიტომ, მენეჯერი კი არ სჭირდება უნივერსიტეტს, სჭირდება ადმინისტრატორი, რომელიც იქნება იერარქიით შედარებით დაბლა. აბსოლუტურად უარყოფითად აისახება. რექტორი სტუდენტს გაუგებს, როცა სტუდენტებთან ურთიერთობა აქვს. უნდა ასწავლიდეს. უნდა იყოს პროფესორი. სასურველია, გამოცდილი პროფესორი. რექტორს უნდა ესმოდეს აკადემიური პერსონალის. პროფესორების. მენეჯერი არის მოგებაზე*

ორიენტირებული. ძალზედ კრიტიკულად ვუყურებ როგორც მთავრობაში, ისე აკადემიურ სფეროში. ამ მმართველობამ უნივერსიტეტი ძალიან დააზარალა. მაგალითად, იყო საუნივერსიტეტო გრანტები. სტუდენტები და მეცნიერები, ერთად, ფაკულტეტებზე იკვლევდნენ სამეცნიერო პრობლემებს. საუნივერსიტეტო გრანტები გაუქმებულია. მენეჯერულად, ეს ყველაფერი ხარჯია. მეცნიერულად და აკადემიურად, ეს აუცილებელია" (ინტერვიუ უნივერსიტეტის ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

უნივერსიტეტის პროფესორებს შორის გავრცელებულია აზრი აკადემიური კრიზისის შესახებ. მათი აზრით, ამჟამად, სხვა ინტერესებია წამყვანი.

„მე მაქვს ძალიან ბევრი აკადემიური კვლევითი წინადადება, რომლებიც მინდა, რომ განვიხილო ფაკულტეტთან, აკადემიურ საბჭოსთან. ახალ რექტორს შევხვდი. სხვათაშორის, წინა რექტორსაც შევხვდი, მაგრამ, იცით რა? ვერ ვხედავ მე უნივერსიტეტის მმართველობის... და საერთოდ აკადემიზმი დაიკარგა, ჩემი აზრით, აკადემიური ინტერესები დაიკარგა. რაღაც სხვა ინტერესებია უკვე უნივერსიტეტებში" (ინტერვიუ რესპონდენტთან. 23.06.2023).

ერთ-ერთი რესპონდენტი ხაზს უსვამს აკადემიური მენეჯერიალიზმის, როგორც ჩვენი ამჟამინდელი საარსებო რეალობის, შესწავლის აუცილებლობას და გვთავაზობს უნივერსიტეტის მართვის მენეჯერული მოდელის ფუნქციონირების მისეულ ხედვას.

„ის, რომ ეს მენეჯერული სისტემაა, რომელიც ასე აიხსნება, ალბათ, ახლა იწერება და შენ წერ ამაზე ნაშრომს და კარგია, რომ უკეთესად ვიცოდეთ. მენეჯერები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, სხვადასხვა წარმატებით ასრულებდნენ სამთავრობო დავალებებს. მენეჯერს ხომ ჰყავს კიდევ „CEO", ამ შემთხვევაში, მმართველი პარტია? ამიტომ, მენეჯერულ სისტემაში არ არის გასაკვირი, რომ „CEO" მართავს ყველაფერს და არა მენეჯერი. მენეჯერი, როგორც წესი, „ოფისის" ხელმძღვანელია და არა მფლობელი. რეალურად, რექტორი უნდა იყოს აკადემიური სივრცის ბატონ-

პატრონი, რომელსაც ეს ჩაბარებული აქვს და მოეთხოვება აკადემიზმის, ადმინისტრაციის გამართული მუშაობის, საუნივერსიტეტო თავისუფლების უზრუნველყოფა და რომ ადმინისტრაციას, სტუდენტსა და აკადემიას შორის იყოს ღია ურთიერთობა და ჯანსაღი აკადემიური გარემო" (ინტერვიუ რესპონდენტთან. 24.06.2023).

ავტონომია და დამოუკიდებლობა

იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად ისმის უნივერსიტეტის ავტონომიურობის მოთხოვნა, საუნივერსიტეტო საზოგადოებაშიც აქტუალურია დისკუსია, ზოგადად, ავტონომიის გაგების შესახებ. მართალია, ამ ტერმინის რამდენიმე განმარტება არსებობს, თუმცა, არცერთი მათგანი არ მოიაზრებს განუკითხაობას. სამწუხაროდ, ას შემდეგ, რაც უნივერსიტეტს, გარკვეულწილად, მიენიჭა მხოლოდ ინსტიტუციური ავტონომია, თუმცა, მისი შემადგენელი ქსოვილი არ შეცვლილა, ლოგიკურია, არასასურველი შედეგების წინაშე აღმოვჩნდით. შესაბამისად, მსგავსი რიტორიკის ერთადერთი ლოგიკური დანიშნულება და შედეგი „ავტონომიის", როგორც ტერმინის ატროფირებაა. ავტონომიის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს აკადემიური თავისუფლება და მკვლევრის ავტონომია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია ინსტიტუციური ავტონომიის პირობებშიც, თუკი უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების დანიშნულება სისტემური წესრიგის შენარჩუნებაა.

„ავტონომია არ ნიშნავს მხოლოდ ინსტიტუციურ ავტონომიას, ნიშნავს უნივერსიტეტების, სტუდენტების დამოუკიდებელი აზრის ქონის საშუალებას. კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესი, უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი ადმინისტრაციული პროცესისგან. ვინ ვის იღებს უნივერსიტეტში, დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ აკადემიურ მხარეზე" (ინტერვიუ რესპონდენტთან. 24.01.2023).

„სამწუხაროდ, ავტონომია და აკადემიური თავისუფლება გაიგეს ხარისხის კომპონენტის გამოცლით. ჩვენი შეხედულება ასეთი იყო, რომ სოციალური დარვინიზმის პრინციპი არ უნდა შევთავაზოთ პროფესორებს, რომ იყავით ისეთი მაგრები, როგორიც არიან ჰარვარდში ან წამყვან უნივერსიტეტებში. ჩვენ ვამბობდით, რომ ამ პროფესორებს უნდა მიეცეთ გამოსაცდელი ვადა და შესაბამისი დაფინანსება, რომ ის გარკვეული თამასა დააკმაყოფილონ“ (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის ყოფილ წევრთან. 25.05.2023).

განათლების მკვლევარი და უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გვიზიარებს გამოცდილებას მისი წარუმატებელი მცდელობის შესახებ, ჩაეტარებინა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის საკითხის შესწავლას.

„მე მინდოდა რეტროსპექტივაში მენახა, 90-იანი წლების შემდეგ რა მოხდა და რა დინამიკას შეგვიძლია, დავკვირვებოდით. ეს, ჩემი აზრით, გარკვეულ პასუხს მომცემდა უნივერსიტეტის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ ასეთი ანალიზის განხორციელების საშუალება მე არ მომეცა. მე არ ვიცნობ, სამწუხაროდ, რაიმე კვლევას, თუნდაც ზედაპირულს ან ზედაპირულ დაკვირვებებზე დაფუძნებულს ან საექსპერტო გამოკითხვას ამ საგანთან დაკავშირებით“ (ინტერვიუ რესპონდენტთან. 23.06.2023).

სტუდენტური მოძრაობის ყოფილი წევრი განმარტავს ავტონომიის გაგებას და გვიზიარებს ამ პრინციპის საწინააღმდეგო პრაქტიკას, უნივერსიტეტში „ოდეერის“ არსებობის სახით.

„წამყვანი ჩვენს მოთხოვნებში იყო სახელმწიფოს და მმართველი პარტიის გავლენისგან გათავისუფლება. მთავრობაში და პარლამენტში გვყავს ყველა ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლები. 2000-იანებშიც კი, ეს სირცხვილი იყო. ბურჯანაძის მამას რომ უნდოდა, ეკონომიკური ელიტარული მდგომარეობა შეენარჩუნებინა, მისი შვილი გაუშვა პოლიტიკაში, ნინო ბურჯანაძე. ახლა პარლამენტში პირდაპირ სახეები არიან წამყვანი ბიზნესმენები. „აუდიტორია“ როდესაც დავიწყეთ, საბაბი იყო იმ

თემასთან დაკავშირებით, რაზეც შენ წერ ახლა. პირველი, „ოდეერების“ ინსტიტუტის პირდაპირი ჩარევა. სახელმწიფო წარმომადგენლობა კეთილდღეობის სახელმწიფოში უნდა იყოს, ეს ჩემთვის, სადღაც, მისაღებია. „ოდეერის“ იდეა არის, რომ დააკვირდეს, სახელმწიფოს უსაფრთხოებას თუკი ექმნება პრობლემა, საფრთხე აცნობოს მის ზემდგომს. ეს არის „ოდეერი“ და არა ის, რომ მმართველი პარტიის ინტერესები გაატაროს უნივერსიტეტში. სწორედ ეს იყო. ის ადამიანი ატარებდა მთავრობის ინტერესებს ძალისმიერად. ყველაფრის ღმერთი იყო უნივერსიტეტში და ასეთი იყო რამდენიმე პირი. მეორე, გაფრინდაშვილი, ეს იყო თვითმმართველობის ყოფილი წევრი. სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს სცემეს არაერთი სტუდენტი, ვინც განსხვავებულად აზროვნებდა და ეს ადამიანი, რომელიც სრულიად შეუსაბამოა აკადემიურ სივრცესთან, ინიშნებოდა კანცლერად. ეს იყო დაწინაურება წარმატებული თვითმმართველობის ცხოვრებიდან, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. აქაც, სრულიად გასაგებია, რომ მთავარი ფუნქცია შესანიშნავად შეასრულა. იმ პერიოდში იყო ”ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა, მიტინგებზე სტუდენტების გაყვანის არაერთი ფაქტი დადასტურებული. თვითმმართველობა, უბრალოდ, მიდიოდა აქციებზე, როცა „მიშა მაგარიას“ ყვიროდნენ. მესამე იყო თვითმმართველობა, რომელიც უამრავ თანხებს ხარჯავდა, რომელიც დახურული სივრცე იყო და ამის არანაირი კონტროლი არ იყო. ეს იყო აუდიტორიის საწყისი“ (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის ყოფილ წევრთან. 24.06.2023).

უმაღლესი განათლების რეფორმა

რესპონდენტებთან საუბრებში გამოიკვეთა მათი განწყობა-დამოკიდებულებები უმაღლესი განათლების რეფორმისადმი. აღმოჩნდა, რომ, ჩამოთვლილთაგან, მრავალ პრობლემას ისინი, სწორედ, უმაღლესი განათლების რეფორმას უკავშირებენ და შესაბამისად, თვლიან, რომ ამჟამად, უმაღლესი განათლება ნამდვილად საჭიროებს რეფორმას.

უმაღლესი განათლების რეფორმა, გარდა მისი განხორციელების შედეგად დაფინანსების ზრდისა, გულისხმობს წინამავალი პროცესებისთვის საჭირო რესურსების მოძიებასაც.

> *„საქართველოში სტუდენტები მუდმივად ითხოვენ განათლების რეფორმას. ერთი მცდელობა იყო იმისა, რომ ყოფილიყო განათლების რეფორმა ჯერ კიდევ 2012-2013 წლებში საქართველოში, რომელიც მიბმული იქნებოდა თენუარის სისტემაზე, მაგრამ თუ შევხედავთ საქართველოში არსებულ სიტუაციას, შეიძლება, ეს თითქმის ფუფუნების საგნადაც იქცეს“* (ინტერვიუ ფილოსოფიის დოქტორანტთან. 24.01.2023).

უმაღლესი განათლების რეფორმის ერთ-ერთი გამოვლინებაა საღამოს საათებში სწავლება, რომელიც კომპლექსური საკითხია. მიზეზი, თუ რატომ გახდა საჭირო სტუდენტებისა და პროფესორებისთვის საღამოს სწავლების შეთავაზება, დაკავშირებულია სწავლის საფასურთან და სტუდენტურ შრომასთან, შესაბამისად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა არსებული ფორმით ჩართულია იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ წესრიგში, რომელიც სოციალურად გაუმართავია და რომელშიც ეკონომიკური ზრდა საზოგადოებრივი ექსპლუატაციის ხარჯზე მიიღწევა.

> *„მე მყავდა ასპირანტები, სანამ რეფორმა მოხდებოდა. ახლა მყავს დოქტორანტები. ის ასპირანტები ათი თავით მაღლა იყვნენ, ვიდრე დღევანდელი დოქტორანტები. რატომ? უფრო ნიჭიერები იყვნენ? არა. ისინი ამით იყვნენ დაკავებული. როდესაც დაინგრა საბჭოთა კავშირი, ჩვენ უარი ვთქვით საღამოს სწავლებაზე, რადგან ითვლებოდა, რომ ეს არის ყველაზე უხარისხო სწავლება. საღამოთი სწავლობენ მაგისტრანტები და დოქტორანტები. რატომ? იმიტომ, რომ მათ უნდა იმუშაონ და მოიტანონ უნივერსიტეტში მათი სწავლის საფასური. ეს შეცდომა არ არის, ეს დანაშაულის ტოლფასი შეცდომაა. არ შეიძლება სტუდენტი იხდიდეს ფულს და საღამოს მიდიოდეს ლექციაზე. თვითონაც დაღლილია, პრფესორიც დაღლილია და ეფექტიანობა დაბალია და როდის უნდა წეროს, საერთოდ, სამაგისტრო თუ სადისერტაციო ნაშრომი?“* (ინტერვიუ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან. 4.06.2023).

ხოლო, განათლების მკვლევარი და უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი აღნიშნავს.

> *„შემდეგ, იცით, რომ მოხდა რეფორმა, მე დეფორმას ვეძახი იმ პროცესს, რაც მოხდა სააკაშვილის მმართველობის პროცესში და არა რეფორმას“* (ინტერვიუ განათლების მკვლევართან. 23.06.2023).

უნივერსიტეტის დაფინანსება და განათლების ხელმისაწვდომობა

უნივერსიტეტის დაფინანსებასთან დაკავშირებით რესპონდენტთა აზრი ერთგვაროვანია:

> *„თუ უნივერსიტეტი არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიმართება უნდა იყოს პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება. სტუდენტი არ შეიძლება, იხდიდეს თავის სწავლაში საფასურს. ეს არის უდიდესი შეცდომა ჩვენი ქვეყნისთვის. რაც შეეხება, კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, მათ აქვთ თავისუფალი ფასწარმოქმნა“* (ინტერვიუ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან/ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

იგი ასახელებს პროფესორთა ანაზღაურების დიფერენცირების პრობლემას.

> *„პრობლემა არის დიფერენცირება პროფესორების ხელფასში. ყველაზე მაღალი ხელფასი გვაქვს ჩვენს ფაკულტეტზე. ჩვენს შემდეგ, მოდიან იურისტები. ერთ-ერთი დაბალი ხელფასი აქვთ ჰუმანიტარებს. ამ დიდი შემოსავლებიდან ჩვენი ფაკულტეტი ინახავს უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებს, დონორი ფაკულტეტია. ხანდახან, ის მინიმალური სტანდარტი, 3-5 სტუდენტი ჯგუფში, არ იკრიბება. უარი ვთქვათ არმენოლოგიაზე? ეს არის მიმართულება, რომელსაც სჭირდება დახმარება. იქ რომ პროფესორი კითხულობს, იმას ხელფასი აქვს ნაკლები. ეს მხოლოდ გათანაბრდება, თუ დაწესდება საერთაშორისო სტანდარტი და იქნება საბიუჯეტო დაფინანსება. მეორე - რომ მეცნიერებაში მუშაობა გახდეს პრესტიჟული. ამისთვის, ყველა სამეცნიერო ინსტიტუტში უნდა ხელფასები იქნეს ადეკვატური იმის, რომ*

> *ახალგაზრდა დაინტერესდეს და „ძველგაზრდაც“, რომელიც ინსტიტუტში მუშაობს. ათ უნივერსიტეტში რომ ენაგადმოგდებული ირბენს, ის რისი პროდუქტიულია? უკვე ავტოპილოტზე აქვს ჩართული ლექცია. ხარისხი არის დაბალი... „* (ინტერვიუ ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

ერთ-ერთი პროფესორი ფიქრობს, რომ *„სახელმწიფო აფინანსებდეს განათლებას. მე არ გაოვრიცხავ, რომ არსებობდეს კომერციული სასწავლებლები, მაგრამ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სახელმწიფოს წილი უნდა იყოს ბევრად მეტი, ვიდრე არის დღეს“* (ინტერვიუ ასოცირებულ პროფესორთან. 23.06.2023).

სტუდენტური მოძრაობის ყოფილი წევრი ფიქრობს, რომ პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება აძლიერებს ავტონომიას და ზრდის ხარისხს. *„პირდაპირი დაფინანსება არის უფრო მეტად ორიენტირებული ავტონომიაზე. როდესაც ვაუჩერული ტიპის დაფინანსებაა, ვხვდებით იმ სისტემაში, რომელშიც ცენტრალური და წამყვანი არის არა ხარისხი, არამედ რაოდენობა“* (ინტერვიუ რესპონდენტთან. 24.06.2023).

სტუდენტური საერთო საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო ქონების პრივატიზაცია

პოლიტოლოგი და „აუდიტორია 115“-ის ყოფილი წევრი იხსენებს:

> *„ეს მოთხოვნები იყო ელიტების წინააღმდეგ მიმართული, როდესაც იყო პროტესტი უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო ქონების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტს ძალიან ბევრი მომიჯნავე ტერიტორია აქვს, მაგრამ იყვნენ ინსტიტუტები, რომლებიც ცდილობდნენ, რომ ეს ტერიტორიები სადაოდ ექციათ და მერე სახელმწიფოსთვის მიეკუთვნებინათ და სახელმწიფოს, ეკონომიკის სამინისტროს, გამოჰქონდა ხოლმე აუქციონზე. როცა მე სენატში ვიყავი, 72 ერთეულზე მიდიოდა დავა ტერიტორიებს შორის და იქიდან ყოველთვის,*

მეტწილად, ეს წყდებოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ“ (ინტერვიუ წარმომადგენლობითი საბჭოს ყოფილ წევრთან. 25.05.2023).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის შესახებ გვიამბობს:

„საცხოვრებელი, რომელიც ლისის ტბაზეა, უნდა ყოფილიყო თბილისში არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის. მერე, უნივერსიტეტების უკმაყოფილება რომ დაინახეს, მისცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. რომელ კორპუსთან არის ახლოს, მითხარით? არცერთ. საერთოდ ქალაქგარეთ არის. ჩვენთან გაცვლითით ხომ ჩამოდიან სტუდენტები? ჩვენები ხომ მიდიან სხვაგან? ისინი აცხოვრებენ სადღაც, ჩვენ - ვქირაობთ ბინას. პროფესორი რომ ჩამოდის, ვქირაობთ ბინას. ეს (სტუდენტური საცხოვრებელი და სტუმრის სახლი) რომ გვქონოდა, საქირავებელი არ იქნებოდა. 2015 წელს მქონდა დასკვნა („ხიმინჯების“ შესახებ), რომ ბოლო სართული იყო მხოლოდ მოსახსნელი. ტენდერიც გამოვაცხადეთ და ორი ფირმა გამოიკვეთა, მაგრამ ჩაიშალა ყველაფერი. ახლა, ვინ მოიგო, ავი ძაღლის პრინციპით? ახლა, სულ დასანგრევია. სადაც ახლა პატრიარქის ინიციატივით ხეივანი გააშენეს, მთხოვდნენ სასაფლაოს. ახლა იქ საცხოვრებელი კორპუსი ჩაიდგა. არ შეიძლებოდა სტუდენტური საცხოვრებლის გაკეთება? გაზგასამართ სადგურს მიშენებდნენ, ახლა სადაც „შირნჰოფერია“. მე ვუთხარი - „რომ აფეთქდეს?“. „რატომ უნდა აფეთქდეს?“. „რა ვიცი, ფეთქდება... სტუდენტი, პროფესორი ფეხით ხომ დადის? ერთი სიცოცხლეც რომ ემსხვერპლოს, მერე? სად გინახავთ, რომელ ქვეყანაში, საუნივერსიტეტო კომპლექსთან გაზგასამართი სადგური?“ (ინტერვიუ რესპონდენტთან. 4.06.2023).

რესპონდენტები საუნივერსიტეტო ქონების პრივატიზაციას, როგორც სხვა პრობლემების გადაჭრის გზას, არასწორად მიიჩნევენ.

„როგორც გასაყიდი აღარაფერი დარჩა ბენდუქიძეს ქვეყანაში, ისეთივე პროცესები არის დაწყებული იმ პერიოდიდან უნივერსიტეტებში, ნაწილ-ნაწილ გაყიდვის

უნივერსიტეტის შენობების, აქტივების, სივრცეების, რომლებიც საკმაოდ მრავლად აქვთ სახელმწიფო უნივერსიტეტებს. ლამის, სოფლები აქვს, რომლებიც სრულიად გამოუყენებელია. ილიას უნივერსიტეტმა როგორც აითვისა ობსერვატორიის ნაწილი, პატარა შენობა აბასთუმანში. ახლა აქირავებს NGO-ებზე" (ინტერვიუ რესპონდენტთან. 24.06.2023).

აკადემიური ქსოვილის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის პრობლემები

სტუდენტური მოძრაობის ყოფილი წევრი საუბრობს აკადემიური ქსოვილის გაჯანსაღებისთვის აუცილებელ პირობათა ჯაჭვზე:

„ძაან პრეკარიატული, მოწყვლადი რგოლი არიან, მე როგორც ვხედავ, მოწვეული ლექტორები, ახალგაზრდა მკვლევრები, რომლებიც იწყებენ უნივერსიტეტში და სამეცნიერო ინსტიტუტებში მუშაობას. მე მგონია, რომ, პირველ რიგში, ამ პროფესურას უნდა შევუქმნათ ისეთი ფინანსური და ეკონომიური სიტუაცია, სადაც ისინი თავს საკმარისად დამოუკიდებლად იგრძნობენ იმისათვის, რომ ვიღაცის ინტერესები არ გააჟღერონ და მათი ერთადერთი მიზანი და ინტერესი იყოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო. ვინ ფინანსდება დღეს კვლევების ჩასატარებლად? რომელ ინსტიტუტებს აქვთ წვდომა დაფინანსებაზე" (ინტერვიუ ფილოსოფიის დოქტორანტთან. 24.01.2023).

უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი კი საუბრობს ყველაზე პრობლემურ აკადემიურ საკითხებზე:

„ყველაზე პრობლემური საკითხი არის სამეცნიერო ეთიკის ნორმების დაცვა. ის, რომ უნდა ამოიძირკვოს ერთხელ და სამუდამოდ პლაგიატი. როცა ამას აკეთებენ პროფესორები, ეს საერთოდ მიუღებელია. ჯერ კიდევ 2015 წელს მიღებული იქნა უნივერსიტეტში დებულება სამეცნიერო ეთიკის ნორმების შესახებ... რა

პასუხისმგებლობის წინაშე დადგება სტუდენტი, რა პასუხისმგებლობის წინაშე დადგება პროფესორი, თუ მას აღმოაჩნდა პლაგიატი, კომბინაცია სამეცნიერო შედეგების. აკადემიური თავისუფლება, ეს არის ხელშეუხებელი, მაგრამ, ხშირად, აკადემიური თავისუფლება არის გაიგივებული არაპროფესიონალიზმთან. კოლეგებისგან მსმენია, როცა სამეცნიერო ნაშრომი გაიგზავნება ფარულ რეცენზიაზე, ნიშნავს ეს ჩემი თავისუფლება აკადემიური შეიზღუდა? არა, ბატონო! ეს ნიშნავს, რამდენად კვალიფიციურად არის ნაშრომი მომზადებული. შეცავს თუ არა სიახლეს და საინტერესო იქნება თუ არა მკითხველებისთვის" (ინტერვიუ რესპონდენტთან. 4.06.2023).

იგი გვიზიარებს აკადემიური ხარისხის გაუმჯობესების მცდელობას, რომელიც მისი რექტორობის დროს განხორციელდა და გადავადდა გიორგი შარვაშიძის რექტორობის პერიოდში.

„2014 წლის ბოლოს მივიღეთ სტანდარტი, რას წარმოადგენს სამეცნიერო საქმიანობა, რა უნდა დაიწეროს და როგორ. დავამტკიცეთ ეს აკადემიურ საბჭოზე, სენატზეც გავიტანეთ, დავამტკიცეთ და მე რომ მომიწია გადადგომა, ჩემმა შემცვლელმა გადაავადა მისი ამოქმედება 2021 წლამდე. ჩემი გადაწყვეტილებით, 2015 წელს, უნდა ამოქმედებულიყო 2017-დან. ამიტომ, მე რომ გადავდექი, პროფესორებს როგორ გაუხარდათ, რაღაც ნაწილს, იცით? თვლიდნენ, რომ სადისტი ვარ. თვლიდნენ, რომ იმის გამო, რომ პლაგიატი დადასტურდა, უნივერსიტეტი კონტრაქტს უწყვეტდა. რატომ არის ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ემერიტუსი, თენუირებული პროფესორი? ყველა ხომ ერთნაირი არ არის? უნდა შევაფასოთ რის საფუძველზე? ცოდნის, პუბლიკაციების. ამის წინააღმდეგი იყვნენ. ბევრი დოქტორანტი მიკავშირდება, „ბატონო ლადო, რას მირჩევ?"... ვუთხარი, „შენს ხელმძღვანელს დაელაპარაკე? არ მინდა, კოლეგიალობა დაირღვეს"... რა უნდა დაელაპარაკოს? არ იცის ხელმძღვანელმა. არცერთი ნაშრომი არ აქვს არც "Web of Science"-ში და არც „Scopus"-ში" (ინტერვიუ ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

განათლების მკვლევარი და უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც სწავლებისა და კვლევის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, ასევე, ვრცელ დაკვირვებას გვთავაზობს ამ საკითხთან დაკავშირებით.

„უნივერსიტეტის პროფესორები არიან ძალიან მძიმე დღეში. უნივერსიტეტები ამ ნეოლიბერალური მიდგომის გამო, იღებენ ყველას. უნივერსიტეტები დაინტერესებულები არიან, რომ ეს გადასახადი შეინარჩუნონ. უკვე სტუდენტების უდიდესი ნაწილი მუშაობს და ძალიან პატარა პროცენტი არის, ვისაც აქვს ფუფუნება, რომ არ იმუშაოს. ისინი მუშაობენ, რომ სწავლის ფული გადაიხადონ. ძალიან დიდია წილი იმათი, ვინც თვითონ იხდის სწავლის ფულს. ძალიან დიდი არის სტუდენტების წილი, ვინც ჩამოსულია რეგიონებიდან და რომელსაც სჭირდებათ ბინის დაქირავება. ფაქტობრივად, როდესაც ვიწყებდი უნივერსიტეტში სწავლებას, მაშინ სტუდენტების უმრავლესობა არ მუშაობდა და ამ წლების შემდეგ, თანდათან ვაკვირდები, რომ ეს პროცენტული მონაცემები ჯერ გახდა 10%, 20% და ახლა უკვე უმრავლესობა მუშაობს. დიპლომის აღება ერთი ამოცანაა და მეორე ამოცანაა, აქვთ თუ არა ცხადი წარმოდგენა იმაზე, რას ითხოვენ უნივერსიტეტიდან. არ არის შესწავლილი ის, რომ ამთავრებს 50 სოციოლოგი და 20 პოლიტოლოგი, მუშაობს თუ არა თავისი კვალიფიკაციის მიხედვით. არა, რა თქმა უნდა. მაშ, რა პროცესი გვაქვს? რა არის, რა პროცესია, რაშიც, ჩვენ, ყველანი ვმონაწილეობთ? მე სულ მაქვს დანაშაულის განცდა, რომ ვმონაწილეობ რაღაც ისეთში, რაშიც არ უნდა ვმონაწილეობდე. სულ მაქვს განცდა, რომ ჩემს სტუდენტებს ვატყუებ. რაღაც ისეთს ვაკეთებ, რისი მოლოდინიც მათ არ აქვთ. რაღაც სხვას ელოდებიან და მე სხვა რაღაცას ვაძლევ. მე მეჩვენება, რომ ეს პროცესი უფრო არის სტიქიური, ვიდრე, რაღაც ნიშნით, მოწესრიგებული. თანდათან, მრავლდება სტუდენტთა რიცხვი, რომელსაც უნდა მხოლოდ ქულა. სხვა არანაირი ინტერესი არ არსებობს. ეს ინტერესიც, სხვათაშორის, 2-3 წლის, 5 წლის წინ უფრო მძლავრი იყო, მაღალი ქულის, ის კი არა, რომ უბრალოდ ჩააბაროს. ახლა, უკვე, არის ინტერესი, რომ რაიმე შეფასება მიიღოს, საგანი არ ჩაუვარდეს. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების ტემპიც, ჩემი დაკვირვებით,

შენელდა. 1990-იან წლებში ახალ ვითარებაში გადავედით. მე არ მავიწყდება ერთ-ერთი ეკონომისტის გამოსვლა, რომელმაც თქვა, რომ ჩვენი სახელმწიფო აფინანსებს არა განათლებას, არამედ გაუნათლებლობასო და ეს ინერცია, რაღაცნაირად, შენარჩუნდა და გაძლიერდა. ეს იყო 1994-95 წელი, ალბათ, როცა ამ ეკონომისტმა ეს თქვა. მაშინ სახელმწიფო აფინანსებდა განათლებას. მერე შეიცვალა აბსოლუტურად მოდელი განათლების დაფინანსების და ა.შ. მაგრამ თუ მაშინ სახელმწიფო აფინანსებდა გაუნათლებლობას, ახლა თვითონ ისინი აფინანსებენ გაუნათლებლობას, ვინც განათლება უნდა მიიღოს“ (ინტერვიუ ასოცირებულ პროფესორთან. 23.06.2023).

რესპონდენტი აფასებს კვლევითი საქმიანობის მდგომარეობას:

„კვლევა, როგორც ასეთი, არის ჩანასახოვან მდგომარეობაში და ის კვლევებიც, მოგეხსენებათ, რაც კეთდება, მე რაც გამიკეთებია, რა წიგნებიც გაომიმშვია, უნივერსიტეტის რესურსებით არ ხდება. ეს ხდება ჩემი და სხვა პროფესორების დაუღალავი, სრულიად წარმოუდგენელი, ტიტანური შრომის შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციაში და იქაც, თქვენ იცით, რა რთულია, დაარწმუნო, რომ რომელიღაც ძალიან მნიშვნელოვანი განმანათლებელი უნდა გამოსცე, რომ უნდა გააკეთო რაღაც კვლევა მე-19 საუკუნის მედიაში პოლიტიკური საგანმანათლებლო ან ფემინისტური თემატიკის გაშუქების შესახებ. ფონდები, თუ უშუალოდ აკადემიურ საკითხებზე არ მუშაობენ და შენ არ შეგიძლია შენი აკადემიური ინტერესის რამე სოციალურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირება, როგორც წესი, არ ინტერესდებიან ამ კვლევითი პროექტებით. ეს არის ძაან სერიოზული სამუშაო, დაარწმუნო ისინი, რომ სასარგებლოა ამ სახელმძღვანელოების და წიგნების უნივერსიტეტში ინტეგრირება, მაგალითად, კურიკულუმებში ინტეგრირება. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, საჯარო განხილვის, თუნდაც შიდა საუნივერსიტეტო საჯარო დებატის საკითხი, არ არის. თუნდაც, საფაკულტეტო საკითხი და ეს პროცესი, საგანმანათლებლო, თითქოს, თავისთავად

მიედინება. ამ აკადემიური კომპონენტის და აკადემიურობასთან დაკავშირებული პოლიტიკის გააზრების მიღმა არის ეს პროცესი. მე ვფიქრობ, რომ პროფესორების უმრავლესობა, მოკლედ, ჩათრეულები ვართ სწავლების პროცესში. აკადემიურ და კვლევის პროცესზე უკვე გელაპარაკეთ“ (ინტერვიუ ასოცირებულ პროფესორთან. 23.06.2023).

კვლევის რამდენიმე რესპონდენტი პროფესორთა პასიურობას უკავშირებს ერთგვარი შიშის კულტურას, რომელსაც, ხანდახან, შესაძლოა, არ გააჩნდეს კონკრეტული საფუძველი.

„ჩვენ არ გვაქვს დრო იმისა, რომ დავფიქრდეთ, რა მდგომარეობაშიც ვართ, ეს რამდენად ნორმალურია და როგორ გავაუმჯობესოთ. ამიტომ, რაღაც ისეთი პროცესი არის წამოსაწყები, რომელიც ამ ყველაფერს უფრო საჯაროს გახდის, გახსნის ამ ყველაფერს და პროფესორები, ელემენტარულად, იმ გზას, რაც გავიარეთ, შეაფასებენ. ახალგაზრდები პოლიტიკურ პროცესს, როგორც სახელმწიფოს მომავლის გარანტორები, გრძნობენ და, სხვათაშორის, უფრო თავისუფლები არიან, ამ პრობლემებზე საუბრის თვალსაზრისით, ვიდრე პროფესორი, რომელიც, შეიძლება, თავს იკავებდეს ან არ ეცალოს ან რაღაცნაირი შიში ჰქონდეს თავისი ადგილის დაკარგვის. შეიძლება, სხვათაშორის, არანაირი მიზეზი არ იყოს, რომ ვინმეს ეშინოდეს ადგილის დაკარგვის, მაგრამ შიში მაინც არსებობდეს, ინერციულად“ (ინტერვიუ პროფესორთან. 23.06.2023).

ამ აზრს ავითარებს კვლევის კიდევ ერთი რესპონდენტი და საუბრობს მრავალწლიანი პოლიტიკური გამოცდილების შედეგად საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ შიშის კულტურაზე, რომელიც უკვე იმდენად თვითრეგულირებადია, რომ, ხანდახან, უშუალო სამთავრობო გავლენასაც არ საჭიროებს.

„უმეტესობა, თითქოს, შეეგუა. როგორც 1921 წელს და მერე, თანდათან, ყველა შეეგუა, რომ ასეთ რეალობაში ვართ, ასეთივე შემგუებლობა გვაქვს აკადემიურ სივრცეში. ყველამ იცის, როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო უნივერსიტეტში იმისთვის, რომ

იყოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, იმისთვის, რომ მას ჰქონდეს საათები, ჰქონდეს საგანი. ყველამ ეს ნორმატივები იცის. გაძლიერებული და უფრო მკაცრი იყო წინა მთავრობის პერიოდში. ახლა შემცირდა ან გადემოკრატიულდა ეს ნორმატივებიო, ვინმემ რომ თქვას, ტყუილია, პირდაპირ. ახლა უფრო კონსიუმერისტულად იქცევა აკადემიური სივრცე. უფრო თვითრეგულირებულია. ქცევის ნორმებში გადავიდა, თავიდან ბოლომდე. არც ჰქონია ამ პროფესურას, სიმართლე ვთქვათ, თავისუფლების მომენტი არასდროს, უმეტესობას. იმ ინდივიდების გარდა, ვისაც ეს შინაგანად აქვს და ვერ მოუკლავ, რომლებიც გმირობის ხარჯზე დღევანდელ დღემდე თავისუფლად ლაპარაკობენ და რომლებმაც, მიუხედავად ამ სირთულეებისა, რომლებიც გზადაგზა უფრო მეტი დახვდათ, ვიდრე შემგუებელ ლექტორებს, რომლებიც უმრავლესობაში არიან დღეს... გზადაგზა, სისტემა რომ გნახავს, თუ ვინ ხარ, ის სისტემა გეჯახება და გეჯახება ყველა დანარჩენი ლექტორით, ვინც უკვე შეეგუა. და ვინც შეეგუა, ყველაზე დიდი მტერია შენი იმიტომ, რომ შენში ხედავს წაგებულ მის თავს, უფრო სწორად, მოგებულ მის თავს, რომელიც არ არსებობს და ყველაზე მეტად შენ სძულხარ მსოფლიოში და ყველაფერს შენ დაგაბრალებს და ყველაზე დიდი მტერი იქნება შენი, ისე, რომ მთავრობის თუ სისტემის გავლენა საერთოდ უკვე საჭირო აღარ არის. ეს უკვე თვითრეგულირებადია. აქედან იწყება. ამ წრეში ვართ უკვე, სადაც აკონტროლებენ ახლებს და აძლევენ მცირე გასაქანებს ხოლმე, გამონაკლისებს, რომ მოჩვენებითი თავისუფლების განცდა იყოს. ხომ არის ნაწილი სტუდენტების, ვინც აუცილებლად უნდა წავიდეს ლექტორებში და ვიღაცები ამ ლექტორებიდან უნდა გავიდნენ პენსიაზე. ბევრი ადამიანი უარს იტყოდა სწავლებაზე და დამსახურებულად გავიდოდნენ პენსიაზე, ღირსეული პენსია რომ იყოს ქვეყანაში და მეტ გასაქანსაც მისცემდნენ ახალგაზრდებს. და არ დაგავიწყდეს, რომ, თუ საჭიროა, ეს ადამიანი თავს მოგაჭამს იმიტომ, რომ ამას აღარ დათმობს. მთელი ცხოვრება ამისთვის იყო ცოტა შემგუებელი, ცოტა უხმო, ცოტა ისეთი, ცოტა ასეთი, რომ ახლა დათმოს? არა, არ დათმობს“ (ინტერვიუ „აუდიტორია 115“-ის ყოფილ წევრთან. 24.06.2023).

იდეოლოგიზირებული კვლევა და სწავლება

ამ ნაშრომის ლოგიკის მსგავსად, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი კვლევის და სწავლების იდეოლოგიურ ხასიათს განიხილავს გლობალურ ჭრილში, რასაც ერთვის ეროვნული პრობლემატიკა.

> *„აკადემიური სივრცე სახელმძღვანელოებით იდეოლოგიზირებულია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აშშ-შიც, დასავლეთ ევროპაში, ბრიტანეთში, ამიტომ არის სტუდენტური მოძრაობები რომლებიც მოითხოვენ სახელმძღვანელოების გამრავალფეროვნებას. შენ უნდა მისცე ადამიანს ცოდნა და მერე თვითონ აირჩევს. მე ჩემს სტუდენტებს, ეკონომისტებს, ხშირად ვეუბნები ასეთ მაგალითს, რომ კლასიკოსი მემარცხენე მიმართულების ფილოსოფოსი და ეკონომისტი იყო კარლ მარქსი. ვეკითხები, ყველაზე ძლიერი მარქსისტული სკოლა რომელია მსოფლიოში? როგორც წესი, ვერცერთი სტუდენტი ვერ მაძლევს პასუხს. ინგლისი. იცით, რატომ? ინგლისი არის ქვეყანა, რომელიც არის ლიბერალური, ანგლო-ამერიკული მოდელი, უფრო ლიბერალური, ვიდრე კონტინენტური ევროპა, სადაც სახელმწიფოს როლი მეტია, მაგრამ ინგლისში რომ მარქსისტები არიან, ეს მათი არჩევანია, გამიგეთ? სტუდენტს უნდა მისცე ყველაფრის საშუალება. ლიბერტარიანიზმიც უნდა ასწავლო, მარქსიზმიც უნდა ასწავლო. თუ სტუდენტმა აირჩია, ეს მისი პროფესიული უფლებაა... ეკონომიკის სახელმძღვანელოები ძალიან ბევრია მსოფლიოში. ყველა უნივერსიტეტი აკეთებს არჩევანს. არ არის ერთი სახელმძღვანელო, რომ ყველა მენქიუთი სწავლობდეს. საქართველოში ამ არჩევანს ვერ ვაკეთებთ. რატომ? იმიტომ, რომ თარგმნილია მხოლოდ მენქიუ. სად არის მისი ავტონომიურობა არჩევანში? ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ჩემი რექტორობის დროს დაინერგა და სამწუხაროდ გაჩერდა... ჩემმა შემცვლელმა, რომელიც მენეჯერი იყო, ეს გააჩერა... რომ მსოფლიოში წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო სახელმძღვანელოები გვეთარგმნა. უნდა*

ეთარგნა თვითონ პროფესურას და სტუდენტებს, გამომდინარე სპეციფიკიდან“ (ინტერვიუ რესპონდენტთან. 4.06.2023).

რესპონდენტი, ასევე, საუბრობს შემთხვევაზე, როდესაც, შესაძლოა, ვიცოდეთ, საგანმანათლებლო პროცესში რომელიმე პროფესორის იდეოლოგიური გავლენის შესახებ, მაგრამ მტკიცებულებების ან საჩივრის არარსებობის შემთხვევაში, მსგავსი შემთხვევების დასაბუთება და პრევენცია შეუძლებელია. „ჯერ უნდა დაუმტკიცო. ვიღაცამ თუ იჩივლა, ფაქტია. თუ არავინ იჩივლა, მე ხომ ლექციას არ ვესწრები, მაგრამ ვიცი სტუდენტების განწყობა“ (ინტერვიუ ყოფილ რექტორთან. 4.06.2023).

ერთ-ერთი სტუდენტი კი საუბრობს ცალმხრივად იდეოლოგიზირებული სწავლების გამოცდილების შესახებ:

„ღმერთო ჩემო! პირველი კორპუსის კიბეები რომ არა და ერთმანეთში რომ არ გველაპარაკა ვიღაცებს, საერთოდ ვერც გავიგებდი, რომ ამ რეალობის გარდა, სხვაც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად საერთოდ სხვაგან მქონდა იდეები და უბრალოდ ვიცოდი, რომ ეს არ მომწონდა. პოლიტიკის მეცნიერებაზე ვსწავლობდი მე და იმ დონეზე ერთ იდეოლოგიას მიჰყვება, რომელიც არ ჩათვალო, რომ მხოლოდ მთავრობის ან ხელისუფლების გავლენაა. ეს, მათ შორის, ევროკავშირის, დამფინანსებლების, რომელიც უნივერსიტეტს ჰყავს, ყველას მოთხოვნაა, რომ იდეოლოგიზირებულად ისწავლებოდეს, მათ შორის, ეკონომიკის ფაკულტეტზე მთავარი წიგნი იყოს მენქიუ, მაგისტრატურაზე კიდევ ერთი ავტორი, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ, საბაზრო ეკონომიკის განდიდება არის და მეტი არაფერი. სადაც ქართველოლოგია შეისწავლება, მაგალითად, ყველა ზვიადისტი არის. იქ სხვა აზრს ვერ იტყვი. ამ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაფერი აქვთ საკუთარ ტყავზე გამოცდილი, ოჯახის წევრი ჰყავთ დაკარგული, როცა მხედრიონი შემოვიდა, შენ მიდი და ეკამათე, რომ ზვიადი არ ვარგოდა. როდესაც ემოციურად განწყობილი ადამიანები არიან პოზიციებზე, რომლებიც მხოლოდ ერთ მხარეს გასწავლიან და რომელთათვისაც შეწინააღმდეგება არის პირადზე ხელის შეხება, ეს არის სრულიად

არააკადემიური. ეს კლანობრივი სისტემა, აზრობრივიც და ოჯახობრივიც, უნივერსიტეტში, და იდეოლოგიზირებული, სხვა აზრს არ იღებს. ეს ყველაფერი, რომ რამე, იკვრება იმ ნარატივში, რომ საბაზრო ეკონომიკაში არის აუცილებელი“ (ინტერვიუ რესპონდენტთან. 24.06.2023).

სტუდენტური პროტესტი

კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი გამოცდილების საფუძველზე გვიზიარებს სტუდენტურ პროტესტთან დაკავშირებულ მსგავსება-განსხვავებებს საქართველოსა და საფრანგეთის უნივერსიტეტებში. ამ პროცესში წარმოჩენილია ურთიერთმიმართება სტუდენტებს, პროფესურასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრებს შორის.

„საფრანგეთის მაგალითს თუ ავიღებ, უნივერსიტეტი ყოველთვის იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური აზრის გამოვლენის სივრცე და არა მხოლოდ, მარტივად, საგანმანათლებლო სივრცე და უფრო ზოგად სახალხო მოძრაობებს თუ ავიღებ, სტუდენტების მონაწილეობა იყო ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საყრდენს წარმოადგენდა სახალხო მოძრაობებისთვის. თუნდაც, 2012 წელს აქ, საქართველოში. „პაღი 8“ უნივერსიტეტი, სადაც ვსწავლობდი, როდესაც საპროტესტო ტალღა იყო 2016 წელს შრომის კოდექსთან დაკავშირებით, პროფესურა და სტუდენტები იდგნენ ერთად. უნივერსიტეტი იყო პიკეტირებული და მაშინ, როდესაც ხდებოდა გაფიცვა ადმინისტრაციის თუ პროფესურის მხრიდან, სტუდენტები, რა თქმა უნდა, მათ მხარს უჭერდნენ და პირიქით, როდესაც სტუდენტები ითხოვდნენ სასწავლო პროცესის დროებით შეწყვეტას, ლექტორები უჭერდნენ მათ მხარს და ეს იყო ერთობლივი პროცესი. რა თქმა უნდა, იყო რაღაც კონფლიქტებიც, მაგრამ, ალბათ, ესეც დამოკიდებული იყო იმაზე, რომელ დეპარტამენტში, რომელ ფაკულტეტზე ხდებოდა ეს და ჰუმანიტარული მეცნიერებები და სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები ყოველთვის იყო ის სივრცე, როდესაც ეს საპროტესტო ტალღა იქცეოდა ძლიერ მოძრაობად და, ამ

შემთხვევაში, ლექტორები არათუ მხარს უჭერდნენ, პირიქით, თავს ვალდებულადაც თვლიდნენ, რომ სტუდენტებისთვის მოესმინათ და თავიდან ბოლომდე ის მიმართულება აეღოთ, რასაც სტუდენტები ითხოვდნენ. ამ შემთხვევაში, ტარდებოდა ერთობლივი ასამბლეა, ზოგადი ასამბლეა, ცალკე ფაკულტეტებში და შემდეგ, საერთო საუნივერსიტეტო ასამბლეა, სადაც ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღებოდა ლექტორების და სტუდენტების მიერ, თუ რა იქნებოდა ზოგადი სტრატეგია (რამდენი ხნით გავაგრძელოთ გაფიცვა? რა არის მოთხოვნები? როდის წავიდეთ აქციაზე? რომელი საათიდან დავკეტოთ უნივერსიტეტი?) და როდესაც საპროტესტო ტალღის უმრავლესობას სტუდენტები წარმოადგენენ, ლექტორებიც მათ მიჰყვებიან და არც კი მოუვათ თავში აზრად, რომ შეეწინააღმდეგონ. იმიტომ, რომ იციან, სტუდენტების მხრიდან წინააღმდეგობა კიდევ უფრო ძლიერი იქნება (იცინის)“(ინტერვიუ ფილოსოფიის დოქტორანტთან. 24.01.2023).

ასევე, რესპონდენტი ხსნის იმას, თუ რატომ არის სახელმწიფო უნივერსიტეტი მნიშვნელოვანი პოლიტიკური სივრცე და სხვას რატომ უნდა „დაასწროს“ ზრუნვა მის შიდა პოლიტიკაზე.

„უნივერსიტეტი, თავისთავად, უნდა იყოს ავტონომიური, საგანმანათლებლო და პოლიტიკური სივრცე იმიტომ, რომ შეუძლებელია, არ იყოს პოლიტიკური. თავისთავად მიდის იქ პოლიტიკური პროცესები და საკითხი დგება ასე - რა ტიპის პოლიტიკები გვინდა, რომ გავატაროთ? დამოუკიდებელი თუ ვიღაცისგან მართული? სტუდენტების მიერ წარმოებული პროცესი, თუ პირიქით, ზემოდან, იერარქიული სისტემის მიერ დავალებული პროგრამა, რაღაც, პოლიტიკური პარტიის მიერ შექმნილი“(ინტერვიუ „ლაბორატორია 1918“-ის ყოფილ წევრთან. 24.01.2023).

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი კი გამოთქვამს გარკვეულ მოლოდინს სტუდენტთა სოციალურად და პოლიტიკურად აქტიურ ჯანსაღ ნაწილთან დაკავშირებით: *„მე სულ ველოდები, რომ ეს პროტესტანტი ხალხი რომელიღაც უკვე არსებულ პოლიტიკურ პარტიაში კი არ ინტეგრირდება, არამედ თვითონ გააკეთებს რაღაც პოლიტიკურ პარტიას. ეს*

უფრო ნორმალურია, ჩემი აზრით, ვიდრე ტუტანჰამონის პერიოდის პოლიტიკურ პარტიებში ინტეგრირება" (ინტერვიუ პროფესორთან. 23.06.2023).

უნივერსიტეტის რეაგირების პრობლემა

კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი, ასევე, საუბრობს უნივერსიტეტის მხრიდან, გარკვეულ შემთხვევებში, რეაგირების ნაკლებობაზე:

> *„მე მქონდა 5 – 6 წლის წინ მცდელობა, რომ, მაგალითად, შემესწავლა პოსტ-საბჭოთა უნივერსიტეტში 1990-იანი წლიდან მოყოლებული თითოეული ფაკულტეტის მიხედვით, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ვინ იყვნენ პროფესორები უნივერსიტეტში და რა მოხდა შემდეგ. ეს სიები, აკადემიური პერსონალის, უბრალოდ შემედარებინა ერთმანეთისთვის და შემდეგ, უფრო სიღრმისეულად მეკვლია. მე ოფიციალური, მოთხოვნა ამ თვალსაზრისით, განცხადება შევიტანე უნივერიტეტში, მოვითხოვე ამ ფაკულტეტების სიები, მაგრამ, სამწუხაროდ, არანაირი პასუხი არ მიმიღია მათგან, არც უარყოფითი, რომ ასეთი სიები არ არსებობს ან რომ ეს სიები მე თვითონ მეძებნა არქივში. არანაირი პასუხი არ მქონია, რაც მე მაფიქრებინებს, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა შეიცავს გარკვეულ რისკებს უნივერსიტეტის მმართველობისთვის"* (ინტერვიუ განათლების მკვლევართან. 23.06.2023).

უნივერსიტეტის მხრიდან, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგაც კი, რეაგირება, არ მოჰყოლია რესპონდენტის მიმართ განხორციელებულ რეპრესიებს.

> *„უნივერსიტეტს რაიმე შეფასება არ გაუკეთებია ამ პროცესის. სხვათაშორის, ის ადამიანი, რომელიც ჩემს ადგილზე მიიღეს, ვინც „მაჯობა" კონკურსში, დარჩა უნივერსიტეტში და არანაირი დისკომფორტი მას არ შეჰქმნია. ისევე, როგორც ქალბატონი თამარ დოლბაია, რომელიც ხელმძღვანელობდა მაშინ ჩემს უნივერსიტეტიდან გაგდებას, მაშინ ის იყო რიგითი პროფესორი, მაგრამ 2012 წლის*

შემდეგ გახდა დეკანი. არანაირი შეფასება, თუნდაც შიდა აკადემიური შეფასება, ამ პროცესებს არ მოჰყოლია პროფესორებისთვის, რომლებიც მაშინ ალიანსში იყვნენ პოლიტიკურ ძალასთან და მათ ნება-სურვილს ასრულებდნენ. მე იმას კი არ ვამბობ, რომ მასობრივად გაეყარათ, უბრალოდ, რეაგირება და შეფასება ამ პროცესის" (ინტერვიუ პროფესორთან. 23.06.2023).

ვინ მართავს უნივერსიტეტს?

ეს არის კითხვა, რომელიც დღევანდელი პოლიტიკური და აკადემიური რეალობის პირობებში, შესაძლოა, ხმამაღლა ჟღერდეს, თუმცა, ისტორიები და ფაქტები, რომლებიც ამ შეკითხვის დასმისკენ გვიბიძგებენ, ბევრად უფრო ხმამაღალია.

პოლიტოლოგი და წარმომადგენლობითი საბჭოს ყოფილი წევრი ამბობს, რომ:

„არსებობს სახელმწიფო ხელისუფლება, ვერტიკალი და მისი ინტერესები და დღეს ასეთი ვითარება არის შექმნილი უნივერსიტეტში, რომ ვინც უნდა ხელისუფლებას, მმართველ გუნდს (პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, ის, ვინც მართავს პოლიტიკურ სიტუაციას) ის ადამიანი ხდება რექტორი. დანარჩენი, ყველა გარემოება კარგავს თავის მნიშვნელობას, გარდა იმისა, რომ კანონით გათვალისწინებულია, რომ დოქტორის ხარისხი უნდა ჰქონდეს და არ შემოვა მარტო კონსულტანტი ან მენეჯერი. ასე რომ, სრულიად დაკარგული აქვს თავისი საზრისი ამ არჩევის სისტემას იმიტომ, რომ მხოლოდ ზემოდან ქვემოთ მოძრაობს აქ ძალაუფლება, ამ ვითარებაში. (ეკონომიკური და ბიზნეს ელიტების ინტერესები) ემთხვევა პოლიტიკურ ინტერესს. გამავალიც არ არის, ერთი და იგივეა" (ინტერვიუ წარმომადგენლობითი საბჭოს ყოფილ წევრთან. 25.05.2023).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი კი იხსენებს საუბარს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურთან:

„სახელმწიფოს უნივერსიტეტისთვის არ სცალია. ამიტომ, ჩვენ (სუს) ვეუბნებით აკადემიურ საბჭოს, ვინ უნდა დანიშნოს (რექტორად). ახლა არავინ გვყავს კონკრეტული. ჩვენს შორისაც არიან კეთილსინდისიერი ადამიანები, ამიტომ ხელს არ შეგიშლით. თუ გაიმარჯვებთ და გამოგივათ, ხელს არ შეგიშლით. ჩვენი დასაყრდენი უნივერსიტეტებში ყოველთვის იყო სტუდენტური თვითმმართველობა“ (ინტერვიუ ყოფილ რექტორთან. 5.06.2023).

III თავი - სტუდენტური თანამონაწილეობა საუნივერსიტეტო მმართველობაში

III.1. სტუდენტური თანამონაწილეობის ფორმები

სტუდენტური თანამონაწილეობა სახელმწიფო უნივერსიტეტების მმართველობაში შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. პირველი მათგანი მოიაზრებს იმ წარმომადგენლობით ორგანოებს, რომლებზეც კვლევის რესპონდენტებმა ვრცლად ისაუბრეს. შემთხვევითი არ არის, რომ სტუდენტური თანამონაწილეობის განხილვის დროს, პირველადი ასოციაცია სწორედ სტუდენტურ თვითმმართველობას უკავშირდება და უკავშირდება, სამწუხაროდ, რადგან საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ამ ორგანოსადმი უკმაყოფილება დასაშვებზე ბევრად მაღალია.

რაც შეეხება, სტუდენტური თანამონაწილეობის არაფორმალურ გზებს, ამ შემთხვევაში, პირველადი ასოციაცია სტუდენტური მოძრაობებია. მართალია, უნივერსიტეტებში არსებობს სხვადასხვა ინტერესებსა და მიზნებზე ფოკუსირებულ სტუდენტთა მუდმივი გაერთიანებები, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ სტუდენტურ პროექტებს, თუმცა, მათი საქმიანობა და ბერკეტები პირდაპირ კავშირს არ ავლენს საუნივერსიტეტო მმართველობასთან, რადგან მათ კონფიგურაციას და დანიშნულებას შინაგანაწესი არეგულირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტების წესდებები, როგორც უკვე განვიხილეთ, ითვალისწინებენ არაფორმალური სტუდენტური გაერთიანებების არსებობას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვერ გამორიცხავენ. ამიტომ, როგორც წესი, დებულებები სტუდენტური გაერთიანებების შესახებ ვრცელი არ არის.

2022 - 2023 წლების განმავლობაში არაფორმალური სტუდენტური თანამონაწილეობის რამდენიმე შემთხვევა შეგვიძლია გავიხსენოთ. 2022 წლის 19 დეკემბერს თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შეხვედრა სტიპენდიანტებთან. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტური მოძრაობის წევრებიც. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დამსწრე სტუდეტთა შეკითხვებს პასუხობდა. სწორედ ამ დროს, სტუდენტური მოძრაობის წევრებმა ვრცლად და არგუმენტირებულად ისაუბრეს უნივერსიტეტში არსებულ ძირითად აკადემიურ პრობლემებზე. მათ შორის, გააჟღერეს სტუდენტური სტიპენდიის გაზრდის საჭიროება, რასაც დამსწრე სტუდენტთა უდიდესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სტუდენტები, მხოლოდ 2022 - 2023 წლების განმავლობაში, ორჯერ აღმოჩნდნენ სამართალდამცავების პირისპირ. პირველი შემთხვევა 2022 წლის 10 ივნისს მოხდა, როდესაც პირველი კორპუსის შენობაში, რექტორის კაბინეტის მიმდებარედ, დერეფანში მიმდინარეობდა მრავალრიცხოვანი აქცია. ამ დროს, უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე, უნივერსიტეტში არ იმყოფებოდა. სტუდენტები მოითხოვდნენ გამოხმაურებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან, თუმცა, სანაცვლოდ, შენობის ცენტრალურ შემოსასვლელში მოხდა შეიარაღებული სამართალდამცავების მობილიზება, რამაც დერეფანში მყოფ სტუდენტებში გამოიწვია პანიკა და გაღიზიანება. მოგვიანებით, სტუდენტებმა დაიკავეს რექტორის კაბინეტი. თუმცა, კითხვა, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი საუნივერსიტეტო სივრცეში შეიარაღებული სამართალდამცავების შემოყვანაზე, პასუხგაუცემელი დარჩა.

მორიგი შემთხვევა უკავშირდება 2023 წლის 7-9 მარტის აქციებიდან ერთ კვირაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაგების სტუდენტურ საცხოვრებელში შევიდა. როგორც სტუდენტებმა თქვეს, მათ თავი ვაკის პოლიციის თანამშრომლებად გააცნეს და პერსონალური მონაცემები გამოართვეს. სტუდენტებისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია, თუ რას ემსახურებოდა პერსონალური მონაცემების შეგროვება. ამის შესახებ ისინი არც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გაუფრთხილებია, რაც ლოგიკურია, ვინაიდან, ეს ღონისძიება უნივერსიტეტის გვერდის ავლით და ადმინისტრაციასთან ან/და რექტორთან

შეუთანხმებლად განხორციელდა. ამ საკითხის აქტუალიზება, კვლავ, სტუდენტური მოძრაობის მიერ მოხდა. 2023 წლის 22 მარტს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში გაიმართა აქცია, რომლის შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორი შეხვდა სტუდენტებს. ამ შეხვედრაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლის მხრიდან სტუდენტებს პირველად განემარტათ განხორციელებული ღონისძიების მიზეზი და დანიშნულება. უნივერსიტეტის განმარტების თანახმად, ეს იყო, უბრალოდ, აღწერა, რომელიც პერიოდულად ტარდებოდა საერთო საცხოვრებელში. ამ ფაქტს არ ადასტურებენ სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ ბაგების საერთო საცხოვრებელში. რექტორისა და სტუდენტების შეხვედრის ლაივ-ჩანაწერის კომენტარებში ერთ-ერთი სტუდენტი წერს (სტუდენტის კომენტარი. უ.ჯ.)

> ბიემჯიმ დადო ამ წამს შსს-ს პოსტი სისტემატური ხასიათი აქვსო და ყოველწლიურად ტარდება ეს აღწერაო, მე 5 წელია აქ ვცხოვრობ და წინა წლებში არავინ მოსულა, ასე რომ ეგ მიზეზი სისულელეა. ყველა სტუდენტის სახლში მიდის და ამოწმებს მათ უსაფრთხოებას? არა, მაშინ სტუდქალაქს თავისი დაცვა ჰყავს რომელიც აკონტროლებს შესვლას გამოსვლას.

იმ შემთხვევაშიც, თუ ეს იყო გეგმიური შემოწმება, ადმინისტრაციის თანამშრომლის განმარტებით, წარსულში ხდებოდა ამის შესახებ უნივერსიტეტის ინფორმირება. გამონაკლისი იყო პანდემიის პერიოდი, როდესაც სწავლება დისტანციური იყო. სტუდენტები, ასევე, აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი მიდგომით საერთო საცხოვრებელსა და კერძო ბინებში მცხოვრებ სტუდენტთა უფლებრივი სეგრეგაცია მოხდა. შეხვედრის დასასრულს, რექტორმა სტუდენტებისგან მიიღო რეკომენდაცია, რომ მომავალში სამართალდამცავებმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გაუფრთხილებლად აღარ განახორციელონ ღონისძიებები საუნივერსიტეტო ტერიტორიაზე. რექტორმა სტუდენტებს უთხრა, რომ ის უახლოეს მომავალში შეხვდებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს და სტუდენტთა პოზიციას გააცნობდა. თუმცა, დღემდე არავინ იცის, რა ბედი ეწია სტუდენტური თანამონაწილეობის შედეგად გაცემულ რეკომენდაციას ან გადაიდგა თუ არა,

ამ მიმართულებით, შემხვედრი ნაბიჯები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის.

ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ, სადაც განიხილებოდა სტუდენტური პროქტების დაფინანსების საკითხი, ადმინისტრაციის მხრიდან მოხდა სტუდენტური მოძრაობის წევრების ინფორმირება. შედეგად, აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტური თვითმმართველობის, წარმომადგენლობითი საბჭოს და სტუდენტური მოძრაობის წევრები. სტუდენტური მოძრაობის წვლილი და თანამონაწილეობა, ამ შემთხვევაში, აისახა ორ ინიციატივაში: სტუდენტური პროექტების დაფინანსება წლიურად, დაახლოებით, 800 000 ლარს შეადგენს. ყოველწლიურად ხდება ამ თანხის პროცენტული განაწილება სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო-კვლევით კატეგორიებს შორის. ეს პრიორიტეტები წლიდან წლამდე უმნიშვნელოდ იცვლება. როგორც წესი, სტუდენტური დაფინანსების უდიდესი პროცენტული წილი ეთმობა კულტურულ ღონისძიებებს, შემდეგ - კვლევით-საგანმანათლებლო კატეგორიას, დაბოლოს, სპორტულ პროექტებს. სტუდენტური მოძრაობის ინიციატივით, 2023 წლისთვის, კულტურული ღონისძიებების გარკვეული პროცენტული წილის გადატანა მოხდა საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტების კატეგორიაში. ასევე, როგორც გაირკვა, არ არსებობდა კულტურული ღონისძიებების დაფინანსების ზედა ზღვარი, რაც იწვევს ისეთ შემთხვევებს, როგორიც არის, მაგალითად, სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაორგანიზებული 107 000 ლარიანი “Welcome Party”. სტუდენტური მოძრაობის წევრების ინიციატივით, ზედა ზღვარი კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის განისაზღვრა 45 000 ლარით.

სტუდენტთა ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში მომხდარი ფაქტი. აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე, ცნობილი გახდა ინფორმაცია, რომ დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებს შეუჩერდათ უფლება სწავლის საფასურის სამ ნაწილად გადახდასთან დაკავშირებით. სტუდენტური მოძრაობის რამდენიმე წევრი უშუალოდ შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს და მათი

მოლაპარაკების საფუძველზე, დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებს განუახლდათ სწავლის საფასურის სამ ნაწილად გადახდის უფლება.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტური თანამონაწილეობის ორ ფორმას შორის, არც თუ ისე ხშირად, ვლინდება თანამშრომლობის ან თანამშრომლობის მცდელობის პრაქტიკები, რომლის მაგალითი განხილულია შემდეგ ქვეთავში.

როგორც წესი, უნივერსიტეტის მართვის არსებული მოდელის პირობებში, სტუდენტურ ჯგუფებს შორის არაფორმალურ მედიატორს რექტორი წარმოადგენს. განსაკუთრებით, რეალობაში, სადაც სტუდენტური თვითმმართველობა მინიმალურ ღიაობას და კავშირს ავლენს სტუდენტთა საზოგადოების უდიდეს ნაწილთან. მათი ყურადღების ლოკუსი და სტუდენტური რესურსები, როგორც წესი, არათანაბრად არის განაწილებული, რაც, ცალსახად, არ წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის ლოკალურ პრობლემას, არამედ, სოციალურ-ეკონომიკური წესრიგის რეპრეზენტაციაა.

წარმომადგენლობის ნაკლებობა: ის ფაქტი, რომ ბოლო 12 წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი სტუდენტური მოძრაობა ჩამოყალიბდა, მიუთითებს სტუდენტური თვითმმართველობის მარცხზე, სრულყოფილად წარმოეჩინა ყველა სტუდენტური ჯგუფის ინტერესები და შეხედულებები. მოძრაობების ჩამოყალიბება მიუთითებს, რომ სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს მარგინალიზებულად ან იგნორირებულად გრძნობს არსებული მმართველობითი სტრუქტურების მიერ. შესაბამისად, სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფები მიმართავენ საკუთარი ინტერესების ადვოკატირების ალტერნატიულ ფორმებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა სტუდენტთა გაერთიანება, რომელიც იზიარებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მოთხოვნას საერთო საცხოვრებელთან დაკავშირებით. 2023 წლის ზამთარში კი, მათ შეუერთდნენ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტებიც. ამჟამად, აღნიშნული ჯგუფები „მაისის სტუდენტურ მოძრაობაში“ ერთიანდებიან. სტუდენტთა მრავალფეროვანი წარომადგენლობის უზრუნველყოფას ხელს უშლის ის ფაქტიც, რომ სტუდენტური თვითმმართველობების

სტრუქტურას და ფუნქციონირების მექანიზმებს ერთი იდეოლოგიური ჩარჩო აქვს, რაც შეუძლებელს ხდის განსხვავებული შეხედულებების და ღირებულებების მქონე სტუდენტების გაწევრიანებას ამ ორგანოში.

სტუდენტის აკადემიური მოსწრების და სტუდენტურ თვითმმართველობაში აქტივობის დონეები, დიდწილად, ურთიერთგამომრიცხავია, ვინაიდან, ერთიც და მეორეც მოითხოვს დიდ ძალისხმევას. თვითმმართველობის სტრუქტურა სტუდენტს არჩევანის წინაშე აყენებს, დრო დაუთმოს ერთს ან მეორეს. არადა, ორგანოს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ერუდირებულ სტუდენტთა კონტიგენტი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სისტემა მოწყობილია ისე, რომ სტუდენტს ან რეალურ აკადემიურ მოსწრებაზე ათქმევინებს უარს, ან საუნივერსიტეტო მმართველობაში მონაწილეობაზე. ამ შემთხვევაში, სიტყვა „რეალურს“ დამაზუსტებელი ფუნქცია აქვს, ვინაიდან, მრავალთა შორის, სტუდენტური თვითმმართველობის წევრების მხრიდან ხშირია აკადემიური მოსწრების ფალსიფიცირების მცდელობა. სამწუხაროდ, ლექტორთა ნაწილიც ადასტურებს მსგავს პრაქტიკას.

III.2. უნივერსიტეტის რეაგირება სტუდენტურ თანამონაწილეობაზე

სახელმწიფო უნივერსიტეტების წესდებების თანახმად, სტუდენტურ თანამონაწილეობაზე რეაგირების პირდაპირი ვალდებულება ეკისრებათ სტუდენტურ თვითმმართველობას და წარმომადგენლობით საბჭოს. წესდებებში არსებობს მუხლები სტუდენტური გაერთიანებების შესახებ, თუმცა, ისინი არასრულყოფილია, რადგან არ არის გაწერილი მათზე რეაგირების მექანიზმები. შესაბამისად, სხვადასხვა სტუდენტური გაერთიანებების მოთხოვნების დაკმაყოფილება და განხილვა დამოკიდებული ხდება უნივერსიტეტების მმართველი ორგანოების კეთილ ნებაზე, რაც ქაოტური და უშედეგო პროცესია. შედეგად, არ ხდება სტუდენტთა ინტერესების რეალური ასახვა საუნივერსიტეტო მმართველობაში. არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც სტუდენტთა გაერთიანებები დიდი ძალისხმევის შედეგად, აღწევენ გარკვეულ მიზნებს და მათი გავლენა აისახება გადაწყვეტილების

მიღების პროცესში. მაგალითად, 2022 წლის შემოდგომაზე, „მაისის სტუდენტური მოძრაობის“ ძლიერი ზეწოლის შედეგად, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, შემდგომში, რექტორმა, ჯაბა სამუშიამ, სტუდენტებს აღუთქვა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა და შეიქმნა შესაბამისი სამუშაო კომისიები, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები.

ცხადია, სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, ირიბად, მნიშვნელოვანი სისტემური პრობლემების გადაჭრას განაპირობებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან რეალური რეაგირება არ მოჰყოლია სტუდენტური მოძრაობის პირდაპირ სისტემურ მოთხოვნას - რექტორის არჩევის წესის ცვლილებას. რაც შეეხება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეაგირებას სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობასთან დაკავშირებით, ბევრად ორგანიზებული და სწრაფი იყო. ორივე შემთხვევაში, მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გამომდინარე სახელმწიფო უნივერსიტეტების შეზღუდული რესურსებიდან.

„მაისის სტუდენტური მოძრაობა“ 2022 წლის გაზაფხულიდან ითხოვს, შეიცვალოს რექტორის არჩევის წესი სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ამ მოთხოვნის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილება. ვინაიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოლო ორმა რექტორმა ვადამდე ადრე დატოვა თანამდებობა, სამართლიანია, ვიფიქროთ, რომ რექტორის არჩევის წესი, სხვა აკადემიურ პრობლემებთან ერთად, საჭიროებს გადახედვას. უნივერსიტეტის მხრიდან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივა ლეგიტიმური იქნება სტაბილური აკადემიური და საგანმანათლებლო პრცესის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე. საკითხის აქტუალიზების მრავალი მცდელობის შემდეგ, 2022 წლის დეკემბერში, ჯერ კიდევ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე მყოფი, ჯაბა სამუშია შეხვდა სტუდენტური მოძრაობის წევრებს და აღნიშნული საკითხის თაობაზე დისკუსიის წამოსაწყებად მათ სენატთან შუამდგომლობა აღუთქვა. ეს გამოიხატებოდა, რექტორის მხრიდან, წარმოადგენლობითი საჭოს წევრებისთვის მოწოდებაში, შეექმნათ სადისკუსიო

კომისია რექტორის არჩევის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით. თუმცა, შემდგომ ეტაპზეც, მოულოდნელი არ ყოფილა სტუდენტური თვითმმართველობის პასიურობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც თვეების განმავლობაში დარჩა მმართველი ორგანოების დღის წესრიგს მიღმა. 2023 წლის გაზაფხულზე, კვლავ, სტუდენტური მოძრაობის ინიციატივით, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტთან და სხვა წევრებთან გაიმართა პირველი შეხვედრა რექტორის არჩევის წესის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით. თვითმმართველობის წევრებმა გაიზიარეს ხედვები პრობლემისა და მისი გადაჭრის ალტერნატიულ გზების შესახებ. შეხვედრის შემდეგ, სტუდენტური მოძრაობის წევრებმა თვითმმართველობის წევრებს გაუზიარეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული შესწავლილი მასალები და სამეცნიერო ლიტერატურა. თუმცა, ყველაფერი ამით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, სამწუხაროდ, არ გამოხმაურებია შეთავაზებას, ყოფილიყო ამ კვლევის რესპონდენტი.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში მოხდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში სამთავრობო გავლენის ასახვის შესწავლა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებების და მათი განხორციელების პრაქტიკების, ასევე, რესპონდენტების მიერ გაზიარებული ინფორმაციის თანახმად, დასტურდება, რომ:

კვლევის რესპონდენტების მიერ წამოჭრილი ძირითადი აკადემიური პრობლემები ემთხვევა აკადემიური მენეჯერიალიზმის კომპონენტებს, რაც ამტკიცებს უნივერსიტეტის მართვის აღნიშნული მოდელის არსებობას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში;

კვლევის ფარგლებში შესწავლილი შემთხვევები ადასტურებენ სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჭარბი სამთავრობო გავლენის არსებობას;

აკადემიური მენეჯერიალიზმი სახელმწიფო უნივერსიტეტებში წარმოადგენს მთავრობის მიერ საგანმანათლებლო და კვლევითი დისკურსის შექმნის, გავრცელების და კონტროლის ძლიერ მექანიზმს. თავის მხრივ, სამთავრობო გავლენა გულისხმობს პარტიული და ეკონომიკური ინტერეს-ჯგუფების კომბინაციას, რომლებიც, თავის მხრივ, თანხვედრაშია შიდასაუნივერსიტეტო არაჯანსაღ/არააკადემიურ ინტერესებთან.

აქედან გამომდინარე, დასტურდება კვლევის მთავარი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში წარმოქმნილი ჭარბი სამთავრობო გავლენა სახელმწიფო უნივერსიტეტებზე აფერხებს აკადემიური გარემოს განვითარებას.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული აკადემიური პრობლემები განპირობებულია აკადემიური მენეჯერიალიზმის, როგორც უმაღლესი განათლების მართვის გლობალური მოდელის და ეროვნული ნიადაგის ერთიერთქმედების შედეგად. კვლევის შედეგად, ასევე, დადასტურდა, რომ აკადემიური საზოგადოების პასიურობას, დიდწილად, განაპირობებს დამკვიდრებული „შიშის კულტურა“.

სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტური მოძრაობების არსებობის მრავალწლიანი პრაქტიკა მიგვანიშნებს სტუდენტური თვითმმართველობების, როგორც მათი წარმომადგენლობითი ორგანოს, კრიზისზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რექტორის არჩევის პროცედურა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში არ წარმოადგენს საკმარის პირობას აკადემიური გარემოს გაჯანსაღებისთვის. კვლევის ფარგლებში შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, პირდაპირი დემოკრატიის პრინციპი აკადემიური გარემოს გაჯანსაღებისთვის აუცილებელი პირობაა.

სასურველია, კვლევის შედეგად გამოკვეთილი თითოეული აკადემიური პრობლემის სამომავლო სიღრმისეული კვლევა. ასევე, იკვეთება ანალოგიური კვლევის განხორციელების საჭიროება საქართველოს სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო უნივერსიტეტებში - სამედიცინო, სახელოვნებო და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი წესდება. მოძიებულია: 6.06.2023. URL: https://www.tsu.ge/ka/lagel-reference/page/უნივერსიტეტის-წესდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 25 თებერვლის ბრძანება №38/ნ. ვებგვერდი: 25.02.2019.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №211/ნ. ვებგვერდი: 27.12.2013.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 22 ივნისის ბრძანება №71/ნ. ვებგვერდი: 22.06.2016.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N135/ნ 2013 წლის 11 სექტემბერი. ქ. თბილისი. *საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებბის დამტკიცების თაობაზე.*

Adrian, G. (2000). White book of Russian education: part on. *Moscow: MESI*.

Amaral, A., Meek, V. L., Larsen, I. M., Larsen, I. M., & Lars, W. (Eds.). (2003). *The higher education managerial revolution?* (Vol. 3). Springer Science & Business Media.

Baker, D. P., & Lenhardt, G. (2008). The institutional crisis of the German research university. *Higher Education Policy*, *21*, 49-64.

Ball, S. J. (1998). Big policies/small world: An introduction to international perspectives in education policy. *Comparative education*, *34*(2), 119-130.

Bernstein, B. (1971). On the classification and framing of educational knowledge. Chapter in Young M (Editor) Knowledge and control: new directions for the sociology of education.

Bischof, L. (2018). Effects of the Bologna process on quality assurance regimes in the Post-Soviet Space: Isomorphism and path dependencies in Moldova, Russia, and Kazakhstan. *European higher education area: The impact of past and future policies*, 77-93.

Brighouse, H., & Bezant, T. (1992). *Hobson's Choice*. Heinemann.

Christensen, T., Gornitzka, Å., & Maassen, P. (2014). Global pressures and national cultures. *University adaptation in difficult economic times*, 30-51.

CLARK, B. (1983). Governing the Higher Education System in: Shattock, M.(ed.) The Structure and Governance of Higher Education. Guildford: Society for Research into Higher Education.

Clark, B. (2001). The entrepreneurial university: New foundations for collegiality, autonomy, and achievement. *Higher education management*, *13*(2).

De Wit, H. (2018). The Bologna process and the wider world of higher education: The cooperation competition paradox in a period of increased nationalism. *European higher education area: The impact of past and future policies*, 15-22.

De Wit, H., & Jones, E. (2018). Inclusive internationalization: Improving access and equity. *International Higher Education*, *94*, 16-18.

Denisova-Schmidt, E. (2018). Corruption, the lack of academic integrity and other ethical issues in higher education: What can be done within the Bologna process?. *European higher education area: The impact of past and future policies*, 61-75.

ESIB. (2001). Student participation in higher education area, ESU.

Fiț, C. R., & Gologan, D. (2018). Student perspective on the institutional efforts to develop internationalisation within Romanian HEIs. *European higher education area: The impact of past and future policies*, 119-137.

Foucault, M. (1971). Orders of discourse. *Social science information*, *10*(2), 7-30.

Foucault, M. (2004). The archeology of knowledge.

Goedegebuure, L. C. (1994). Mergers in higher education: A comparative perspective.

Gornitzka, Å., Maassen, P., & De Boer, H. (2017). Change in university governance structures in continental Europe. *Higher Education Quarterly*, *71*(3), 274 – 289.

Gramsci, A. (1971). *Hegemony* (pp. 95-123). na.

Habermas, J. (1973). What does a crisis mean today? Legitimation problems in late capitalism. *Social research*, 643-667.

Hacker, J. S., & Pierson, P. (2002). Business power and social policy: Employers and the formation of the American welfare state. *Politics & Society*, *30*(2), 277-325.

Korpi, W. (1985). Power resources approach vs. action and conflict: On causal and intentional explanations in the study of power. *Sociological theory*, *3*(2), 31-45.

Lindblom, C. E. (1982). The market as prison. *The Journal of Politics*, *44*(2), 324-336.

March, J.G. and J.P. Olsen (1989). Rediscovering institutions: the organizational basis of politics. New York, Free Press.

March, J.G. and J.P. Olsen (1995). Democratic governance. New York, Free Press.

Matei, L., & Iwinska, J. (2018). Diverging paths? Institutional autonomy and academic freedom in the European Higher Education Area. *European higher education area: The impact of past and future policies*, 345-368.

Meyer, J. W., Boli, J., Thomas, G. M., & Ramirez, F. O. (1997). World society and the nation-state. *American Journal of sociology*, *103*(1), 144-181.

Moodie, G. and R. Eustace. Power and Authority in British Universities. London: Allen and Unwin, 1974.

Moudud, J., Caldentey, E. P., & Delamonica, E. (2014). State-business relations and the financing of the welfare state in Argentina and Chile: Challenges and prospects.

Parmigiani, A. (2022). *The Political Power of Economic Elites in Contemporary Western Democracies*. UNRISD.

Pitsoe, V., & Letseka, M. (2013). Foucault's discourse and power: Implications for instructionist classroom management. *Open Journal of philosophy*, *3*(01), 23.

Reed, M. I. (2002). New Managerialism, Professional Power and Organisational Governance in UK Universities: A Review and Assessment: "Governing is about managing the gap between expectations and reality.". *Governing higher education: National perspectives on institutional governance*, 163 – 185.

Richardson, T. (1996). Foucauldian discourse: Power and truth in urban and regional policy making. *European Planning Studies*, *4*(3), 279 – 292.

Salmi, J. (2018). Social dimension within a quality oriented higher education system. *European higher education area: The impact of past and future policies*, 141 – 154.

Santos, B.S. (1996) By the Hand of Alice. The Social and the Political in Postmodernity, Porto: Edi˜o˜es Confrontation, 5th edn, pp. 165 – 166

Silova, I. (2005). Traveling policies: hijacked in Central Asia. *European educational research journal*, *4*(1), 50 – 59.

Silova, I. (2011b). Introduction. In I. Silova (Ed.), Globalization on the margins: Education and postsocialist transformations in Central Asia (pp. 1–26). Charlotte, N.C.: Information Age Pub.

Silova, I., & Steiner-Khamsi, G. (Eds.). (2008). *How NGOs react: Globalization and education reform in the Caucasus, Central Asia and Mongolia*. Kumarian Press.

Strange, S. (1987). The persistent myth of lost hegemony. *International organization*, *41*(4), 551 – 574.

Tofan, A., & Bischof, L. (2017). Higher education system dynamics and institutional diversity in Post-Soviet countries: The case of Moldova. In J. Huisman, A. Smolentseva, & I. Froumin (Eds.), 25 years of transformations of higher education systems in Post-Soviet countries: Reform and continuity. Basingstoke: Palgrave Macmillan.

Walshaw, M. (2007). *Working with Foucault in education*. Brill.

Ziegele, F., & Kunkel, F. The Election of University Rectors in Germany: New Processes to Support Strategic Leadership. *IEB's Report on Fiscal Federalism and Public Finance 4 Informe IEB sobre Federalismo Fiscal y Finanzas Públicas 70 Informe IEB sobre Federalisme*, 30.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი წესდება. მოძიებულია: 4.02.2023. URL: https://burusi.files.wordpress.com/2009/08/e18397e183a1e183a3-e1839ee18398e183a0e18395e18394e1839ae18398-e183ace18394e183a1e18393e18394e18391e18390.jpg

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის/რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების პროცედურის დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება N: 98/2022. თარიღი: 17.10.2022. მოძიებულია: 10.05.2023. URL: https://www.tsu.ge/ka/legalakad/45706

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე. აკადემიური საბჭოს დადგენილება N: 36/2016. თარიღი: 4.04.2016. მოძიებულია: 10.05.2023. URL: https://www.tsu.ge/ka/legalakad/16500

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულება. დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სცდომის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შესულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 1-ლი აპრილის N3 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 27 აპრილის N1 სხდომის გადაწყვეტილებით. მოძიებულია: 13.05.2023. URL: https://iliauni.edu.ge/uploads/other/76/76176.pdf

Carothers, F. F. T. (2011, June 6). *A Conversation with Francis Fukuyama on the Origins of Political Order*. Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/2011/06/06/conversation-with-francis-fukuyama-on-origins-of-political-order-event-329

Sameer, A. (2019, September 6). *Faucault and Education: The Power/knowledge Discourse in Pakistani Society and its Impact on the Idea of Education [Paper presentation].* ECER 2019: Politics of Knowledge, Hamburg, Germany. URL: https://eera-ecer.de/ecer-programmes/conference/24/contribution/48777

მაისის სტუდენტური მოძრაობა. (2022, 27 სექტემბერი). *მიმდინარეობს საბჭოს სხდომა. პროცესს ვესწრებით სტუდენტებიც, თუმცა, არ გვაქვს მისი გადაღების საშუალება.* [ფოტო-პოსტი]. მოძიებულია: 5.06.2023. URL: https://www.facebook.com/photo/?fbid=133199929459411&set=pb.100083082143126.-2207520000.

პუბლიკა. (2022, 5 ოქტომბერი). *165 000 ლარის მითვისების ბრალდებით თსუ-ის ყოფილი ბუღალტერი დააკავეს.* პუბლიკა. https://publika.ge/165-000-laris-mitvisebis-braldebit-tsu-is-bughalter/

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ana Japharidze

Reflecting Governmental Influence in Georgian State Universities: Academic Managerialism

Political Science

This thesis is submitted for the degree of Master of Arts in Political Science

Supervisor: Tamar Karaia

Ph.D. in Political Science,

Associate Professor

Tbilisi, 2023

ინტერვიუს გზამკვლევი

მოგესალმებით, მე ვარ ანა ჯაფარიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი. პირველ რიგში, მადლობას გიხდით ინტერვიუში მონაწილეობისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ვიკვლევ სამთავრობო გავლენის ასახვას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში, აკადემიური მენეჯერიალიზმის პირობებში. კვლევა ითვალისწინებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგი ჯგუფების გამოკითხვას: ა) პროფესორები ბ) განათლების მკვლევრები გ) ეკონომიკის ექსპერტები დ) უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების წარმომადგენლები. ე) სტუდენტური თანამონაწილეობის გამოცდილების მქონდე პირები.

მოცემული ინტერვიუს მიზანია საკვლევი საკითხით კომპეტენტურად დაინტერესებული პირების ცოდნის და გამოცდილების გაზიარება. ჩვენი საუბარი კონფიდენციალური იქნება, რაც ნიშნავს, რომ ნაშრომში მხოლოდ თქვენს ზოგად მახასიათებლებს ავსახავ. მხოლოდ თქვენი ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, შევქმნი ინტერვიუს აუდიო-ჩანაწერს, რომელსაც მხოლოდ ტრანსკრიპტის შესაქმნელად გამოვიყენებ. ინტერვიუს ხანგრძლივობა 40 – 60 წუთია.

1. პირველი შეკითხვა არის ზოგადი. მაინტერესებს, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს სამთავრობო გავლენის და სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთმიმართება ჯანსაღი აკადემიური გარემოს პირობებში?
2. ნორმატიულ ხედვას რეალურ გამოცდილებას თუ შევადარებთ, ძირითადად, რაში ვლინდება და როგორ აისახება სამთავრობო გავლენა სახელმწიფო უნივერსიტეტში?
3. სახელმწიფო უნივერსიტეტების პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებას ემხრობით თუ ვაუჩერულს?
4. შეგიძლიათ, რომ ყველაზე პრობლემურ აკადემიურ საკითხებზე ისაუბროთ?

5. მოგეხსენებათ, მოხდა უნივერსიტეტის ტრადიციული მართვის მოდელიდან მენეჯერულ მოდელზე გადასვლა. როგორ შეაფასებდით აკადემიურ მენეჯერიალიზმს?
6. თქვენი აზრით, როგორი გავლენა აქვს მენეჯერულ მოდელს კოლეგიალურ ურთიერთობებე აკადემიურ სივრცეში?
7. რექტორის პირდაპირი წესით არჩევის შემთხვევაში, რა უპირატესობებს და რისკებს ხედავთ?
8. თუ არა მართვის მოდელის ცვლილება, რა უნდა იყოს მთავარი ინდიკატორი, რომ გვქონდეს უფრო ლეგიტიმური შედეგები?
9. რექტორის არჩევის მენეჯერული მოდელის მთავარი ღირსება „ორმაგი ლეგიტიმაციის“ უზრუნველყოფაა, რაც გულისხმობს სახელმწიფო უნივრსიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში საუნივერსიტეტო საზოგადოების და გარე ინტერე-ჯგუფების გავლენის დაბალანსებას. თქვენი აზრით, ეს პროცესი დაბალანსებულია?
10. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულმა ბოლო ორმა რექტორმა ვადაზე ადრე დატოვა თანამდებობა. არის თუ არა ეს საფუძველი იმისთვის, რომ ვიფიქროთ რექტორის არჩევის ალტერნატიულ გზაზე?
11. როგორ შეაფასებდით აკადემიური ქსოვილის მდგომარეობას? აკადემიურ ქსოვილში ვგულისხმობ პროფესურას და სახელმწიფო უნივერსიტეტების თანამშრომლებს.
12. თქვენი აზრით, არის თუ არა კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესი იდეოლოგიზირებული სახელმწიფო უნივერსიტეტებში?
13. თქვენი აზრით, არის თუ არა სწორი მეთოდი სახელმწიფო უნივერსიტეტების საკუთრების პრივატიზაცია სხვა საუნივერსიტეტო პრობლემების გადაჭრის მიზნით?
14. შეგიძლიათ, გამოკვეთოთ, მაგალითად, სამი ძირითადი პრობლემა სახელმწიფო უნივერსიტეტებში და გვითხრათ თქვენი ვარაუდი მათი გადაჭრის გზების შესახებ?

15. რას ფიქრობთ სტუდენტური თანამონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით სახელმწიფო უნივერსიტეტებში?
16. რას ფიქრობთ სტუდენტური მოძრაობების მოთხოვნებთან დაკავშირებით?
17. საერთაშორისო გამოცდილებიდან იცნობთ თუ არა ჩვენთვის ყურადსაღებ შემთხვევებს საუნივერსიტეტო მმართველობასთან დაკავშირებით?
18. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა დამატებითი ფაქტორი, რომელზეც მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება აღნიშნული საკითხის შესწავლის პროცესში?

კიდევ ერთხელ, მადლობას გიხდით ინტერვიუში მონაწილეობისთვის!